# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 7-9 ოქტომბერი. 2022 წ. №158 (9496) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

# შოკისმომგვრელი სიმართლე



## ზაზა შათირიშვილი: ხელისუფლებამ კი არ გადააყოლა ივანიშვილის ფულს ქვეყანა, არამედ ივანიშვილმა გადააყოლა ქვეყანას თავისი ფული!

**ნაციონალები მოქმედ ხელისუფლებას ხშირად აბრალებენ, ქვეყანა ივანიშვილის ფულს გადააყოლესო. სინამდვილეში, მისი ადვოკატის ვიქტორ ყიფიანის ბოლო წერილიდან ირკვევა, რომ ივანიშვილს, პოლიტიკური გარიგების სანაცვლოდ, მილიარდ დოლარზე მეტს უბრუნებდნენ და მან ამ მაცდუნებელ გარიგებას ქვეყნის ინტერესების გამო ხელი არ მოაწერა. შესაბამისად, გამოდის, რომ ხელისუფლებამ კი არ გადააყოლა ივანიშვილის ფულს ქვეყანა, არამედ ივანიშვილმა გადააყოლა ქვეყანას თავისი ფული, — ამის შესახებ ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა განაცხადა.**

**მკითხველის თხოვნით დღეს გთავაზობთ ცნობილი ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის შოკისმომგვრელ წერილს.**

„კრედიტ სუისის" წინააღმდეგ ბიძინა ივანიშვილის დავის გარშემო ახალი საინტერესო დეტალები ხდება ცნობილი, რასაც აუცილებლად უნდა გამოვეხმაურო. პირველ რიგში, კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ სინგაპურის სასამართლოს გადაწყვეტილება სულ მალე გამოცხადდება და ძალიან მაღალი ალბათობით, ბიძინა ივანიშვილი, ბერმუდის საქმის მსგავსად, ამ საქმესაც მოიგებს, რაც სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ამ საქმის მოგება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ივანიშვილი მისთვის მოპარულ ფულს, ზედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, პოლიტიკური ბარიერების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც დაიბრუნებს. ასევე, კმაყოფილება მინდა გამოვხატო იმ ფაქტითაც, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკს ბიძინა ივანიშვილისთვის მარტიდან გაჩერებული თანხების მართალია მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილის გადმორიცხვა უკვე მოუწია.

**ბერმუდასა და სინგაპურში მოგებულ თანხებს შვეიცარიის სასამართლოში მიმდინარე დავის საგანს და მოპარვას გადარჩენილ თანხასაც თუ მივათვლით, გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილს, საერთო ჯამში, შვეიცარიაში 2 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დანაშაულებრივად დაკავებული. გამომდინარე იქიდან, რომ ივანიშვილი ამ თანხის უდიდესი ნაწილის საქართველოში ქველმოქმედებაზე მიმართვას აპირებს, ივანიშვილის მიერ მისი დაბრუნებით, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, სუბიექტურადაც უნდა ვიყოთ დაინტერესებული.**

როგორც ირკვევა, ივანიშვილს თანხა „კრედიტ სუისში" 2005 წლიდან ჰქონდა ჩადებული და ბანკი მას 3 წლის მანძილზე პრობლემების გარეშე ემსახურებოდა. პრობლემები სათავეს 2008 წლიდან იღებს, როდესაც შვეიცარიულმა ბანკმა ბიძინა ივანიშვილის ანგარიშის გაუგონარი ძარცვა დაიწყო. ეს ზუსტად ის დროა, როდესაც 7 ნოემბრისა და საპრეზიდენტო არჩევნების ტოტალური გაყალბების შემდეგ, ივანიშვილმა სააკაშვილს მძიმე პოლიტიკური დიაგნოზი საბოლოოდ დაუსვა და მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყვიტა. ივანიშვილის შვეიცარიული ანგარიშიდან ყველაზე მსხვილი თანხები სწორედ იმ პერიოდში, 2008-2010 წლებში მოიხსნა.

როგორც ბიძინა ივანიშვილისგან პირადად მაქვს მოსმენილი, მას 2007 წლის 7 ნოემბერს ადამიანების სასტიკ დარბევაზე და ტელეკომპანია „იმედში" შეჭრაზე ძალიან მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. როგორც ცნობილია, სააკაშვილს მაშინ თანამდებობიდან გადადგომა მოუწია, თუმცა, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები უხეშად გააყალბა, რაც ივანიშვილისთვის საბოლოო წითელ ხაზად იქცა. 2008 წლის იანვარში ის სააკაშვილს დაემშვიდობა და ყოველგვარი კომუნიკაცია აუკრძალა. ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა გამომშვიდობებისას სააკაშვილს უთხრა, რომ პოლიტიკაში შესვლას არ გეგმავდა და წინ არ დაუდგებოდა. მას შემდეგ, სააკაშვილი ივანიშვილის შემორიგებას აქტიურად ცდილობდა და ამისათვის რამდენჯერმე სანდრა რულოვსიც დაიხმარა, თუმცა, უშედეგოდ.

ორიოდე თვის წინ, საზოგადოებას გავაცანი ჩემი არგუმენტირებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ „კრედიტ სუისის" მენეჯმენტს სრულად ამერიკელები აკონტროლებენ და ბიძინა ივანიშვილის საბანკო ანგარიშის ძარცვაც მათგან იყო კოორდინირებული. ამაზე დავით უსუფაშვილმა ამერიკელების დასაცავად მიპასუხა, ივანიშვილი „კრედიტ სუისის" თემაზე 2015 წელს მესაუბრა და მაშინ ანგარიშის ძარცვას ამერიკელებს აბრალებდა, თუმცა, მოგვიანებით, ეს ვერსია თავადვე უარყოო. რეალურად, უსუფაშვილს, ამერიკელების დაცვაზე მეტად, მათი მხილება გამოუვიდა. გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილმა პრობლემის სათავეს ჯერ კიდევ 2015 წელს მიაგნო, ხოლო მოგვიანებით უსუფაშვილთან ეს ვერსია რატომ უარყო, ამერიკელებთან უსუფაშვილის მკაცრი სუბორდინაციის გათვალისწინებით, ძნელი გამოსაცნობი არაა.

ბანკის მენეჯმენტმა ძარცვის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წელს ყველაფერი იცოდა, რასაც სისტემაში დაფიქსირებული ასეულობით განგაშის სიგნალიც ადასტურებს და ეს ფაქტი შვეიცარიის ფინანსური მარეგულირებელი ორგანოს ანგარიშში ოფიციალურად არის აღწერილი. თუმცა, ბანკის მენეჯმენტს ანგარიშის ძარცვაზე არათუ რეაგირება არ მოუხდენია, არამედ, პირიქით, დანაშაულის მთავარ ამსრულებელს, პატრის ლესკოდრონს იმ პერიოდში პრემიას პრემიაზე უწერდა. ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილის თანხების მითვისება ლესკოდრონის თვითშემოქმედება არ გახლდათ და ამ დანაშაულში ბანკის მთელი მენეჯმენტი იყო ჩართული. დეტალებსაც რომ არ ჩავუღრმავდეთ, იმის მტკიცება, რომ ასეულობით მილიონ დოლარს ბანკის ერთ-ერთი კლერკი წლების მანძილზე მარტო იპარავდა, სრულიად ღიმილისმომგვრელია და ამას ბავშვიც კი არ დაიჯერებს. ამ პირობებში, ის, რომ შვეიცარიულმა ბანკმა და სასამართლომ უპრეცედენტო მასშტაბის ძარცვაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ კაცს დააკისრეს, ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს.

იხ. 2 გვ.

## დავიცვათ ქართველი ხალხი, „ქართული ოცნება" და ბიძინა ივანიშვილი უსამართლობისგან!



### მერაბ კოსტავა გვარის უღირსეულესი შვილია!

6

დღეს, 14 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანადგომით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართება ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

### ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე – ზოგადქართული მოვლენა



8 9

№158. პარასკევი-კვირა, 7-9 ოქტომბერი, 2022 წელი.





## ზაზა შათირიშვილი:

# ხელისუფლებამ კი არ გადააყოლა ივანიშვილის ფულს ქვეყანა, არამედ ივანიშვილმა გადააყოლა ქვეყანას თავისი ფული!

(პირველი გვერდიდან)

**ის გარემოებაც, რომ ბანკი ნაძარცვი ფულის დაბრუნებას წაგებისთვის განწირული სასამართლო პროცესების მეშვეობით აჭიანურებს, დამატებით ადასტურებს, რომ ეს ძარცვა მთლიანად ბანკის მენეჯმენტის კარნახით განხორციელდა. სასამართლო პროცესებით ძარცვის ისტორიის გახანგრძლივება არაფერში აწყობს თავად ბანკს, სამაგიეროდ სრულებით აწყობს იმ ძალას, რომელიც ბანკის განადგურებით არის დაინტერესებული.**

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ქართული ბანკის თანამშრომელი დეპოზიტზე განთავსებულ თქვენს თანხას ანგარიშიდან აქრობს და ამის აღმოჩენის შემდეგ, ბანკი თანხას არათუ დაუყოვნებლივ არ გიბრუნებთ, არამედ დროის გასაჭიანურებლად, სასამართლოში სარჩელის შეტანასაც კი გაიძულებთ, სადაც თანხის დაბრუნების შესაჩერებლად თქვენთან ხანგრძლივ დავას აწარმოებს. იქვე ისიც წარმოიდგინეთ, თუ როგორ რეპუტაციულ ზიანს მიაყენებდა ამგვარი ფაქტი შესაბამის ქართულ ბანკს. ახლა კი, წარმოიდგინეთ, რომ ზუსტად იგივე არა საქართველოში, არამედ შვეიცარიაში ხდება, სადაც ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მენეჯმენტი შვეიცარიის საბანკო სისტემის საუკუნეების მანძილზე ნაშენებ რეპუტაციას ერთი ხელის მოსმით ანგრევს.

**საინტერესოა, რომ საუკუნის ძარცვის უშუალო აღმსრულებელს, პატრის ლესკოდრონს შვეიცარიულმა სასამართლომ მხოლოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, ხოლო ვადაზე ადრე განთავისუფლების შემდეგ, ველოსიპედით სასეირნოდ გასული ლესკოდრონი საეჭვო გარემოებებში ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს. საინტერესოა ისიც, რომ ძარცვის საქმის ოქროს მოწმე ბიძინა ივანიშვილსა და ბანკს შორის სასამართლო დავის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაიღუპა. ლესკოდრონის საეჭვო გარდაცვალების უკან სპეცსამსახურების ხელწერის ამოცნობა არცთუ რთულია.**

ივანიშვილის ქართველი ადვოკატი, ვიქტორ ყიფიანი ბოლოდროინდელი მოვლენებიდან ერთ საინტერესო ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას. როგორც ირკვევა, სინგაპურში სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას, რომელიც 5-23 სექტემბერს წარიმართებოდა, ივანიშვილს „კრედიტ სუისის“ ახლად დანიშნულმა მთავარმა იურისტმა ბოდიშის მოსახდელად და მოსალაპარაკებლად საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზა. პროცესზე ის ღიად გამოხატავდა ივანიშვილის სასარგებლო პოზიციას, აგრეთვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბანკმა ეს საქმე სადაო გახადა და ივანიშვილს მორიგება იმთავითვე არ შესთავაზა. მთავარი იურისტი ადასტურებდა მზაობას, ერთი მხრივ, ივანიშვილის კუთვნილი 2 მილიარდი დოლარი სრულად მის განკარგულებაში გადაეცა, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა შეფერხებული გადარიცხვის განხორციელება უზრუნველეყო. თუმცა, ყიფიანის წერილიდანვე ირკვევა, რომ რამდენიმე დღეში ბანკის მენეჯმენტმა მთავარი იურისტის ეს წინადადება უკან წაიღო.

აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილმა აქაც სწორად შეაფასა ვითარება და „კრედიტ სუისის“ მთავარ იურისტს საქართველოში შეხვედრაზე თავიდანვე უარი უთხრა. ცხადია, შვეიცარიული ბანკის მთავარი იურისტი ივანიშვილთან, თანხასთან ერთად, პირველ რიგში, პრობლემის მიზეზზე, ანუ პოლიტიკაზე შეეცდებოდა მოლაპარაკებას. თუ მთავარ იურისტს ფინანსურ საკითხზე სურდა მორიგება, ბუნებრივია, სინგაპურში ივანიშვილის ინტერესებს რამდენიმე ადვოკატი წარმოადგენდა და ამ საკითხზე საუბარი მათთანაც თავისუფლად შეიძლებოდა. ყველაზე ლოგიკური ახსნა იმისა, თუ რატომ სურდა მთავარ იურისტს ივანიშვილთან პირადად მოლაპარაკება, ისაა, რომ ამ საუბრის საგანი არა ფინანსები, არამედ პოლიტიკა უნდა ყოფილიყო. სასამართლო პროცესიდან არაფორმალურ ფორმატში გადასვლის მიზანიც უსათუოდ ეს იყო. ბუნებრივია, „კრედიტ სუისის“ მთავარ იურისტს არაფორმალურ გარემოში პოლიტიკაზე საუბრის შესაძლებლობა მიეცემოდა, რის საშუალებასაც მას სასამართლოს ფორმატი არ აძლევდა.

მეორე თეორიული ვერსია ისაა, რომ მთავარმა იურისტმა საქმის პოლიტიკური მხარის შესახებ თვითონ არაფერი იცოდა და ამის შესახებ ბანკის მენეჯმენტისგან მხოლოდ ბოლო მომენტში შეიტყო. თუმცა, იმის ალბათობა, რომ ყველაზე მსხვილი შვეიცარიული ბანკიდან „კრედიტ სუისში“ ცოტა ხნის წინ საგანგებოდ გადაყვანილი მთავარი იურისტი ინფორმაციის ამგვარ დეფიციტს განიცდიდა, დამეთანხმებით, ძალიან მცირეა.

**საბოლოოდ, ბიძინა ივანიშვილმა ვითარება სწორად გააანალიზა და ბანკის მთავარ იურისტს სავსებით სწორად მიანიშნა, რომ შანტაჟის ქვეშ ვერავის ვერაფერზე მოელაპარაკებოდა. ამით მან კუთვნილი 2 მილიარდი დოლარის დაბრუნებაზე არცთუ მცირე ხნით თქვა უარი, თუმცა, სამაგიეროდ, ქვეყანას საბედისწერო ომის საფრთხე კიდევ ერთხელ ააცილა თავიდან.**

საქმის გარშემო მიმდინარე პროცესები დამატებით ამყარებს ჩემს დასკვნას იმის შესახებ, რომ ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების რეჟიმში მოქმედებს და როგორც „კრედიტ სუისს“, ისე, ზოგადად, შვეიცარიის საბანკო სისტემას შეგნებულად ანგრევს. სხვა ახსნა „კრედიტ სუისის“ მენეჯმენტის მიერ ივანიშვილის გაუგონარ ძარცვას და ამ ძარცვის გამოვლენის შემდეგ, თანხის არდაბრუნებას, უბრალოდ, ვერ ექნება. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ბანკის მენეჯმენტი გარე ძალის კარნახით მოქმედებს, რომელსაც არა ფინანსური, არამედ პოლიტიკური მოტივი ამოძრავებს.

## დავიცვათ ქართველი ხალხი, „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი უსამართლობისგან!

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ისიც, რომ განსხვავებით სხვა მასალებისგან, შვეიცარიულ და საერთაშორისო მედიაში სრულად იბლოკება ნებისმიერი სტატია, რომელიც „კრედიტ სუისის“ მენეჯმენტს აკრიტიკებს. არაერთხელ დავწერე, რომ ამერიკელები შვეიცარიაში, პრაქტიკულად, ყველა გავლენიან ინსტიტუტს აკონტროლებენ, რაშიც საბანკო და სასამართლო სისტემებთან ერთად, მედიაც შედის. ბანკის მენეჯმენტის რეპუტაციის დამაზიანებელი სტატიების გამოქვეყნების დაშვების შემთხვევაში, ამერიკელები იმ ტოტს მოჭრიდნენ, რომელზეც სხედან, რასაც, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ.

ივანიშვილის ადვოკატების წერილი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ვითარება ბევრად უფრო საგანგაშოა, ვიდრე თავდაპირველად ვფიქრობდი. თავიდან მეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შესვლის გამო დასაჯეს. თუმცა, როგორც ირკვევა, ამერიკელებს მისი დასჯის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მაშინ მიუღიათ, როდესაც მან მათ აგენტებთან, ანუ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე თქვა უარი. ბიძინა ივანიშვილი, რომელიც წინა ხელისუფლებას 2004-2007 წლებში აქტიურად ეხმარებოდა, ამერიკელებმა მათ მთავარ აგენტთან, მიხეილ სააკაშვილთან გამიჯვნისთანავე დასაჯეს და მას საბანკო ანგარიში გაუძარცვეს.

ამერიკელების მიდგომის მიხედვით, ქვეყანაში წარმატებული და დამოუკიდებელი კაცი არ უნდა არსებობდეს. მათი თანამშრომლები წარმატებულ ისტორიულ მოღვაწეებსაც კი ერჩიან. რა გასაკვირია, რომ წარმატებულ ადამიანებს ისინი თანამედროვეობაში კიდევ უფრო მეტად ვერ იტანენ და ებრძვიან.

შვეიცარია არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ ანგრევენ ამერიკელები ყველაფერ წარმატებულს, რაც მათი იდეოლოგიისა და ხელწერის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინებაა. ადრეც არაერთგზის დავწერე, რომ ივანიშვილის ანგარიშის ძარცვით, ამერიკელები ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდნენ: ერთი მხრივ, ივანიშვილს უქმნიდნენ პრობლემას, ხოლო, მეორე მხრივ, „კრედიტ სუისისა“ და შვეიცარიული საბანკო სისტემის რეპუტაციას ანგრევდნენ. შვეიცარიის ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 2000-2011 წლებში 39 ათასიდან 91 ათას დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2011 წლიდან ერთ ადგილზე გაიყინა და 2020 წლისთვის 4 ათასი დოლარით შემცირდა კიდეც. შედარებისთვის, იმავე 2011-2020 წლებში ამერიკის ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 14 ათასი დოლარით გაიზარდა. როდესაც შვეიცარიის სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ეკონომიკურ საყრდენს – საბანკო სისტემას და მასთან ერთად, სასამართლო სისტემასაც ანგრევ, ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს – საკუთრების უფლებას ფეხქვეშ თელავ, ასეთ პირობებში ეკონომიკის 10-წლიანი სტაგნაცია, რასაკვირველია, სრულიად ლოგიკური და გარდაუვალია.

**ის მოდელი, რომელიც ამერიკელებმა შვეიცარიაში აამოქმედეს, სააკაშვილის ხელისუფლების დროს დანერგილ მართვის სქემას ძალიან წააგავს. მონოპოლიზებული ეკონომიკა და ასევე მონოპოლიზებული, მკაცრ პოლიტიკურ ცენზურას დაქვემდებარებული მედია, მანკიერ პოლიტიკურ ინტერესებს დამორჩილებული სასამართლო სისტემა, ფინანსურად წარმატებული ადამიანების რეკეტი და ამ ყველაფრის ერთი ცენტრიდან, ამერიკული აგენტურის ხელით მართვა, არის ხელწერა, რომელიც ივანიშვილის საქმიდან მკაფიოდ იკითხება და რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდის მართვის მოდელს ასე ძალიან მოგვაგონებს.**

ნაციონალები მოქმედ ხელისუფლებას ხშირად აბრალებენ, ქვეყანა ივანიშვილის ფულს გადააყოლესო. სინამდვილეში, მისი ადვოკატის წერილიდან ირკვევა, რომ ივანიშვილს, პოლიტიკური გარიგების სანაცვლოდ, 2 მილიარდ დოლარზე მეტს უბრუნებდნენ და მან ამ მაცდუნებელ გარიგებას ქვეყნის ინტერესების გამო ხელი არ მოაწერა. შესაბამისად, გამოდის, რომ ხელისუფლებამ კი არ გადააყოლა ივანიშვილის ფულს ქვეყანა, არამედ ივანიშვილმა გადააყოლა ქვეყანას თავისი ფული.

**საქართველოში წარმატებული ადამიანების მოფრთხილება ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, რადგან წარმატებული სახელმწიფო სწორედ წარმატებულ მოღვაწეებზე და ქვეყნისთვის გულანთებულ ადამიანებზე დგას. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი იმ უსამართლობისგან დავიცვათ, რომელთან დაპირისპირებაც მას საკუთარი ქვეყნის ინტერესების ერთგულების გამო უწევს“!**

**5 ოქტომბერი, 2022**



# ივანიშვილმაც იცოდა, რომ საკადრო პოლიტიკა არ უვარგოდა...

## ომი, კოჰაბიტაცია და პიარი...

**„ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმი „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის 1 ოქტომბერს დაასრულა. ამ ათი წლის განმავლობაში იყო ორი ?საპარლამენტო, თვითმმართველობისა და საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც „ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა.**

ანალიტიკოსები თვლიან, რომ ათი წლის მანძილზე „ქართული ოცნების“ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი არის ის, რომ ქვეყანაში ომი არ ყოფილა, ხოლო ხელისუფლების მთავარ მინუსად ოპოზიციასთან კოჰაბიტაციას მიიჩნევენ.

**„24 თებერვლიდან, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, მმართველმა გუნდმა შეძლო, რომ ქვეყანაში ომი არ გაჩაღებულა. ეს ხელისუფლების უმთავრესი დამსახურებაა. რაც შეეხება შეცდომებს, პოლიტიკურ შეცდომად კოჰაბიტაციას ვთვლი. კოჰაბიტაცია, რომ არ ყოფილიყო, დღეს ქართული სახელმწიფო უფრო მაღალ მწვერვალზე იქნებოდა“,** — თქვა ანალიტიკოსმა **ედიშერ გვენეტაძემ** და ყურადღება გაამახვილა ასევე „ქართულ ოცნებაში“ საკადრო პრობლემებზეც.

**„ქართულ ოცნებაში“ კადრების შერჩევისას შეცდომები იყო. კადრებში შეცდომები ნაპოლეონს, იულიუს კეისარს და შემდეგ სტალინსაც კი ჰქონდა. არსებობს ასეთი გამონათქვამი — „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ და დღესაც აქტუალურ თემად რჩება. ამიტომ, ვინმეს კადრების შერჩევაში შეცდომა რომ არ ჰქონდეს, ეს ყოვლად გამორიცხულია, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც პოლიტიკური შარლატანებით არის სავსე. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ხანებში, „რესპუბლიკურ პარტიას“ რამდენი მინისტრი ჰყავდა, მაგრამ ვერაფერი გააკეთეს და ახლა ბიძინა ივანიშვილს ლანძღავენ. ესენი არიან საქართველოში ჩამოყალიბებული უმადურთა კასტა“,** — განაცხადა ექსპერტმა.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ქართული ოცნების“ მმართველობამდე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდს იხსენებს და ორ პოლიტიკურ ძალას შორის არსებულ სხვაობაზე საუბრობს.

**„შეფასებას ცოტა შორიდან დავიწყებ — როდესაც მიხეილ სააკაშვილის მრჩევლად ვმუშაობდი, საკმაოდ კრიტიკული ვიყავი. თანამდებობის დატოვების შემდეგ, ის რაც ქვეყანაში მოხდა, ამაზე ნეიტრალური პოზიცია ვერ მექნებოდა. პირადად მე სასაყვედურო არაფერი მაქვს, მაგრამ ქვეყანაში ძალადობის კლიმატი სუფევდა, ციხეები გადავსებული იყო და რა ხდებოდა ციხეებში, კი ვიცით. ამიტომ მისი მმართველობის ის პერიოდი ჩემთვის მიუღებელი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის პერიოდში ბევრი რამე გაკეთდა კიდეც. ფაქტია, ენერგიულად უდგებოდა ყველაფერს. ნუ, ხშირად ეს ენერგია დეკორატიულ შენობებს ხმარდებოდა და არა რეალურს. რატომ გავიხსენე წარსული, ის რომ ძალადობა აღარ არის, აღარ არის მოსახლეობაში დათესილი შიში, ყველას რაც უნდა იმას ამბობს — ეს არის „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მიღწევა. მეორე არის ის, რომ 10 წლის განმავლობაში ომს გადავურჩით. მესამე - მიუხედავად სხვადასხვა მხრიდან ზემოქმედებისა, „ქართული ოცნება“ არ აჰყვა არც დასავლეთის და არც რუსეთის ზეწოლას. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება რუსეთისკენ მიდის, ეს არადამაჯერებელია, რადგან მთელი მსოფლიო რუსეთს განუდგა და რაღა საქართველო მიდის რუსეთისკენ?! პრინციპში, საქართველომ თითქმის პირველად სცადა გაეტარებინა ყველაზე დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რათა აქ არ ომის ფრონტი არ გახსნილიყო. ამას შევაფასებდი ძალიან დადებითად.**

**რაც შეეხება უარყოფითს — „ნაციონალური მოძრაობის“ რაც იყო, „ოცნებას“ სწორედ ის აკლია. ვგულისხმობ, ენერგიულობას, რომელიც ხელისუფლებას საქმის კეთებაში უნდა დაეხმაროს. ვხედავთ, მშენებლობები როგორი ნელი ტემპით მიდის. ის, რაც მოზღვავებული ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ იყო პიარი, „ოცნებას“ კი ნაკლებად აქვს. არა და პოლიტიკისთვის პიარი საჭიროა. საქართველოს მოსახლეობამ არ იცის ერთი მხრივ რა ხდება ქვეყანაში, რადგან პიარის მანქანა არ მუშაობს. ასევე უცხოელებმაც არ იციან, რა პრობლების წინაშე დგას საქართველო, რა იყო ადრე და რა ხდება ახლა. უცხოელებმა ეს, რომ არ იციან, მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებში ჩანს. ფაქტია, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო უცხოელ პარტნიორებში პოზიციის გამყარება, მაშინ, როდესაც ასეთ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ამ მონაპოვრით დღემდე სარგებლობს. დასავლეთს არ უყარს როცა არ არის ძლიერი ოპოზიცია. მას ყოველთვის უყვარს წინ წამოწეული ოპოზიცია, რათა მმართველი ძალა კონკურენციის რეჟიმში ჰყავდეს. მაგრამ, მაინც იქამდე მივდივართ, რომ დღეს ფაქტობრივად, „ქართული ოცნება“ ერთადერთი ქმედითი პოლიტიკური ძალაა, დანარჩენი ოპოზიციური პარტიები შედეგს ვერ აღწევენ“,** — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

პოლიტოლოგის თქმით მმართველი გუნდი კადრების შერჩევაში ქრონიკულად უშვებს შეცდომებს.

**„პრეზიდენტის არჩევის წინ, ივანიშვილი გამოვიდა და ხალხს შეჰპირდა, რომ გამოსასწორებელ საქმეებში ერთ-ერთი საკადრო პოლიტიკის ცვლილება იქნებაო. ე.ი. ივანიშვილმაც იცოდა, რომ საკადრო პოლიტიკა არ უვარგოდა. ამის მიუხედავად არაფერი შეცვლილა. საკადრო პოლიტიკა „ქართული ოცნების“ ძალიან პრობლემური ნაწილია“,** — დასძინა საყვარელიძემ.

**ქეთი გიორგაძე**

# ოპოზიციის ურწმუნო თომებს არ წააკითხოთ!

## მსოფლიო ბანკი: 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 8.8 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში

**მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა, რომელშიც წარმოდგენილია რეგიონისა და მასში შემავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზები, უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და პანდემიის შედეგების ზემოქმედების პირობებში.**

ანგარიშის თანახმად, **2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი მოსალოდნელი 5.5 პროცენტის ნაცვლად, 8.8 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.**

მსოფლიო ბანკის შეფასებით, სამხრეთ კავკასიაში 2022 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა 5.6 პროცენტით გაიზრდება, რაც უსწრაფესია ევროპის და ცენტრალური აზიის ქვერეგიონებს შორის.

**„წლის პირველი რვა თვის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი მოსალოდნელი 5.5 პროცენტის ნაცვლად, 8.8 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. აღნიშნულს ხელი შეუწყო შიდა მოთხოვნის აღდგენამ და ფულადი გზავნილების წმინდა მაჩვენებლის ზრდამ.**




**2023 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა შენელდება სავარაუდოდ 4.2 პროცენტამდე, რაც ასახავს 2022 წელს მძლავრი აღდგენის სტიმულის შესუსტებას, ევროკავშირში ეკონომიკური ზრდის შემცირებას და 2023 წელს რუსეთში წარმოებული პროდუქციის მოცულობის მოსალოდნელზე მკვეთრ ვარდნას.**

**2023 წელს მოსალოდნელია ფასების ზრდის ტენდენციის კლება, რადგან მოთხოვნა შემცირდება და გრძელვადიანი ფიქსირებული ფასის კონტრაქტები სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს საქართველოში ენერგომატარებლების ფასით გამოწვეული შოკების შერბილებას“,** — აცხადებენ მსოფლიო ბანკში.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის, სებასტიან მოლინეუსის განცხადებით, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის პროგნოზები გამოწვევებითაა აღსავსე.

**„2022 წელს ველოდებით რეგიონში წარმოებული პროდუქციის მოცულობის შემცირებას 0.2 პროცენტის ოდენობით, ძირითადად რუსეთის უკრაინაში შეჭრით გამოწეული შედეგების გამო. ზოგადად, რეგიონში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაბალ — დაახლოებით 0.3 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება, მიმდინარე ინფლაციის მაღალი დონის, გლობალური საფინანსო ბაზრების გამკაცრების და რეგიონში არსებული გამოწვევებით სავსე ფისკალური მდგომარეობის პირობებში. ამ ფონზე ვხედავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვერეგიონში აღინიშნება საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური ზრდა და 2022 წელს პროდუქციის მოცულობა 5.6 პროცენტით გაიზრდება, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის მასშტაბით“,** — აცხადებს მოლინეუსი.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის თქმით, საქართველოს შემთხვევაში 8.8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა მეტწილად განპირობებულია ადგილობრივი მოთხოვნის და ფულადი გადარიცხვების მატებით, ისევე როგორც ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის ზრდით.

**„რაც შეეხება საქართველოს, ვხედავთ ეკონომიკური ზრდის 8.8-პროცენტიან მაჩვენებელს, რომელიც ამ მომენტისთვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მთლიანად ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ეს მეტწილად განპირობებულია ადგილობრივი მოთხოვნის და ფულადი გადარიცხვების მატებით, ისევე როგორც ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის ზრდით. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნონ სიფხიზლე. რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება თუ ინფლაცია გაიზრდება. და რა თქმა უნდა, ჩვენ მთავრობას ვურჩევთ შეინარჩუნოს წინდახედული მიდგომა ფისკალური თვალსაზრისით და გამოიყენოს ნებისმიერი დამატებითი შემოსავალი, რათა შეამსუბუქოს გარკვეული ფისკალური ტვირთი. აღვნიშნავ, რომ მსოფლიო ბანკის ახალ ეკონომიკურ მიმოხილვაში აქცენტი გაკეთებულია სოციალური დაცვის ღონისძიებებზე, რომლებიც უმნიშვნელოვანესია კრიზისის დროს სიღარიბის დონის ზრდაზე რეაგირებისთვის. და აქ ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ჩვენმა წევრმა ყველა ქვეყანამ განაახლოს სოციალური დაცვის სისტემები და უზრუნველყოს მიზნობრივი სოციალური დახმარების მექანიზმის არსებობა, რომელიც დახმარებას გაუწევს იმ ადამიანებს, რომლებსაც ის ყველაზე მეტად სჭირდებათ არსებული კრიზისის პირობებში“,** — განაცხადა მოლინეუსმა.

# დღეს რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, „ხალხის ძალა“ 5 პროცენტამდე ბარიერს გადალახავს!



**„ხალხის ძალა“ ძალას იკრებს და დიდი ამბიციები აქვს. მოძრაობა, რომელიც შესაძლოა პარტიადაც იქცეს, „ქართული ოცნების“ ხარჯზე ფართოვდება, თუმცა ხელისუფლების მხარდამჭერებად რჩებიან. ამით მმართველმა პარტიამ ფორმალურად პარლამენტში უმრავლესობა დაკარგა, მაგრამ დე ფაქტოდ ჯამი არ იცვლება. ანალიტიკსოები ამბობენ, რომ ამ მოძრაობის პარტიად გადაკეთების შემთხვევაში, მათი მხარდამჭერები ანტიდასავლური ელექტორატი იქნება, ასევე პრორუსული ამომრჩეველი და ნეიტრალური მოსახლეობა, რომელსაც არც დასავლეთი უნდა და არც რუსეთი. ამიტომ ამ ძალას ელექტორატი ნამდვილად ჰყავს, რომელთა მეშვეობითაც, დღეს რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს 5-იან ბარიერსაც კი გადალახავენ. თუმცა ისინი ამ ძალის შექმნის უკან სხვა პოლიტიკურ გათვლებს ხედავენ.**

„ხალხის ძალას“ ახალი წევრები შეემატნენ. მმართველი პარტია დატოვა და მოძრაობას შეუერთდა „ქართული ოცნების“ 5 წევრი, პარლამენტის დეპუტატები **ეკა სეფაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, დავით კაჭარავა, დაჩი ბერაია** და **ზაალ მიქელაძე**. ამის შესახებ დღევანდელ ბრიფინგზე მოძრაობის წევრმა **სოზარ სუბარმა** განაცხადა. მისი თქმით, მოძრაობა „ხალხის ძალა“ საქართველოს პარლამენტში ცხრა დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, რაც ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მათ რიცხოვნობით მესამე პოლიტიკური ჯგუფი ეყოლებათ.

ასევე მოძრაობა „ხალხის ძალას“ შეუერთდნენ ანალიტიკოსები: **თამთა მეგრელიშვილი, ზურაბ ქადაგიძე, დავით ქართველიშვილი, თამარ ჩიბურდანიძე, ნუკრი შოშიაშვილი, ოთარ ჭულუხაძე, ნიკა ქობულაძე** და **იოანე შაიშმელაშვილი**.

სოზარ სუბარმა საზოგადოებას აცნობა, რომ მათი მოძრაობის წევრმა, ვიქტორ ჯაფარიძემ „პოსტ TV“-ს წილის 52% შეიძინა, რაც, მისი თქმით, პოლიტიკურ ჯგუფს ხელს შეუწყობს, რომ საზოგადოებამდე სათქმელი კიდევ უფრო ფართოდ მიიტანონ.

გადიან პარტიიდან, რჩებიან უმრავლესობაში, მიზანი უცვლელია — კულისებში ნათქვამის საჯაროდ გამოტანა. სწორედ ეს არის ერთადერთი, რაც ახლა ხალხის ძალას „ქართულ ოცნებისგან“ განასხვავებს.

„ჩვენ ვართ გამიჯნულნი, ისინი თავად გაგვემიჯნენ, ამით ყველაფერია ნათქვამი, მათ შორის, პოზიციებთან დაკავშირებით“ — ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი „ოცნების“ 5 დეპუტატის ახალ საპარლამენტო ჯგუფში გადაბარგებას.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ „ხალხის ძალის“ გაფართოვება და პოლიტიკურ მოძრაობად გადაკეთება მოსალოდნელი იყო. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ თუ ის პარტიად გადაკეთდა, მისი ელექტორატი ანტიდასავლური განწყობების იქნება, ასევე პრორუსული ძალა, რომელიც ბევრი არჩევნების შედეგად გამოჩნდა, რომ არსებობენ და არც თუ ცოტა რაოდენობის. ამიტომ, თუკი საქმე-საქმეზე მიდგება და ეს მოძრაობა პარტიად გარდაიქმნება, დღეს რომ რიგგარეშე არჩევნები ხელისუფლებამ დანიშნოს, ეს ძალა 5%-მდე ბარიერს, დიდი ალბათობით, გადალახავს.

**„ეს მოძრაობა, დიდი ალბათობით, ძირითადად მიიზიდავს „პატრიოტთა ალიანსის“ ამომრჩეველს, „ალტ-ინფოს“ მხარდამჭერებს და ნინო ბურჯანაძის მომხრეებსაც. ეს ელექტორალური ბაზა არსებობს და ამ რესურსის მოძიება „ხალხის ძალას“ ნამდვილად შეუძლია. ასევე მიიმხრობს იმ ხალხს, რომლებიც ანტიდასავლური განწყობებით გამოირჩევიან ან ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ. არც რუსეთი უნდათ და არც დასავლეთი, ასეთი ხალხიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და მათი ინტერესიც შესაძლოა ეს „ხალხის ძალა“ გახდეს. როგორც ვიცით, ქვეყნის მოსახლეობის 80% დასავლურ მისწრაფებებს მხარს უჭერს და ევროპა უნდა. თუმცა რჩება 20%, რომელიც გადაუწყვეტელია. ამიტომ „ოცნებამ“ ჩათვალა, რომ ჯობია მან თავად შექმნას ძლიერი ჯგუფი, რომელიც ამ ელექტორატს მიიზიდავს.**

მისივე თქმით, ახლა ეს ჯგუფი უფრო გაძლიერდა, რადგანაც 9 დეპუტატი და 9 ანალიტიკოსი შეუერთდათ და მათ პრეტენზია მოძრაობის პარტიად გადაკეთებაზე გაუჩნდებათ. ძაბირაძე არ გამორიცახვს, რომ ეს ადამიანები 2024 წლის არჩევნებზე გამსვლელ სიაშიც მოხვდნენ. იქ ადგილი გამსვლელ ნაწილში აღარ არის, ამიტომ „ოცნებიდან“ ამ მოძრაობაში დეპუტატების კიდევ გადასვლას გამორიცხავს.

„ქართული ოცნება“ ფაქტობრივად 2 გუნდად გაიყო. ერთი რომელიც ხელისუფლებაში და მმართველ გუნდში დარჩა და მეორე, რომელიც ცდილობს, რომ ელექტორატის ის ბაზა აიყვანოს, რომელიც მკვეთრად ანტიდასავლურია. პარლამენტში, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები „ოცნებას“ კოალიციის შექმნაში დაეხმარებინა. ფორმალურად ეს იქნება კოალიციური მთავრობა, რეალურად კი ორად გაყოფილი „ოცნება“ ერთმანეთს შეუერთდება.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი აცხადებს, რომ მან არ იცის ზუსტად ქმნის თუ არა ამ პარტიას ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ვერც იმას იტყვის ამ ძალის შექმნის უკან კონკრეტულად რა ჩანაფიქრი დგას. თუმცა საყვარელიძე ამბობს, რომ ლოგიკურად რაღაცა დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. ფაქტია, რომ ეს ძალა ფართოვდება და ახალ პარტიად მოგვევლინება. ამის პროგნოზირება ადვილი იყო, რადგანაც ამ ადამიანებს გარკვეული ელექტორატი ჰყავთ და მისი დაკარგვა არ უნდათ.

**„ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ შექმნეს პოლიტიკური ძალა, რომელიც მმართველი ძალის საპირწონე იქნებოდა. სერიოზულ შთაბეჭდილებას ოპოზიციაში ვერავინ ვეღარ ტოვებს. საზოგადოებისთვის მისაღები ფიგურები აღარ არიან, ასეთ დროს კი დომინანტ მდგომარეობაში ერთი სახელისუფლო პარტია დგება. ასეთ ვითარებაში კი პარტია უნდა გაიყოს. როცა ძალაუფლების დიდი ნაწილი უკვე ერთ ხელს უკავია, მისი გაყოფა უნდა მოხდეს. ეს ლოგიკურია, რადგან ზვიადის და შევარდნაძის დროსაც ოპოზიცია მათივე პარტიებიდან გაჩნდა. ქართული გამოცდილება ასეთია, როცა რომელიღაცა პარტია, ხელისუფლებას დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებას ინარჩუნებს, მაშინ ის უნდა გაიყოს.**

**თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა საჯარო გამოსვლის დროს თქვა, რომ ისურვებდა გამოჩენილიყო ძალა, რომელიც „ოცნებას“ დაამარცხებდა. ამბობდა, რომ კარგი იქნებოდა ორი ძლიერი პარტია ყოფილიყო. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამის მცდელობა იყოს. ჯერჯერობით ამ პარტიას ოპოზიციონერობის ელფერი არა აქვს, მერე ვნახოთ. არც ის არის გამოირცხული, რომ პარტია სხვადასხვა ხალხით შეივსოს. თუმცა „ოცნების“ სათადარიგო სკამი, ასეთი თამაშებისთვის გრძელი არ არის. ვნახოთ, რთულია საუბარი მოვლენები როგორ განვითარდება“,** — ამბობს საყვარელიძე.

რაც შეეხება იმას, ვის წაართმევს ელექტორატს „ხალხის ძალა“ და ვინ იქნება მისი ამომრჩეველი, ეს პარტია უპირველეს ყოვლისა „ოცნების“ ხმებს აიღებს. კიდევ იქნება იმ პოლიტიკური ჯგუფების ხმები, რომელთაც რადიკალური კონსერვატიული პოზიცია აქვთ.

**„ამ ადამიანების მხარდამჭერები, ალბათ, უფრო, „პატრიოტთა ალიანსის“, „ალტ-ინფოს“ და სხვა რადიკალური კონსრევატიული პოზიციის მქონე ადამიანები იქნებიან. ხალხს, რომელთაც არ სურთ რუსეთთან ცუდი ურთიერთობა და მათთან დიალოგის მომხრეები არიან. ელექტორატზე იმუშავებენ, რომელთა ნაწილისთვის დასავლეთი არასწორად იქცევა და დიდად დასავლური მისწრაფებების მხარდამჭერები არ არიან.**

**ეს ხმები ძირითადად პრორუს პარტიებს ეკუთვნის და ყველა ეს ელექტორატი ამ ჯგუფთან წამოვა. სხვათა შორის არჩევნების დროს ვნახეთ, რომ არცთუ ცოტაა ასეთი ადამიანების რაოდენობა, ამიტომაც პოლიტიკურ ველზე რესურსი არსებობს და ამის აღებას ეს ძალა შეძლებს“,** — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ჟენევის რთული რაუნდი



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლაშა დარსალიას განცხადებით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 56-ე რაუნდზე მოლაპარაკებათა პროცესი განსაკუთრებით რთული იყო.**

დარსალიამ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების პოზიციონირება, რაც, მისი თქმით, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეხვედრაზე დღის წესრიგში დაყენებული იყო 6-პუნქტიანი შეთანხმების საკითხი.

**„მოგეხსენებათ, რთული რაუნდი იყო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, დეკემბრის შემდგომ არ გვქონია რაუნდი და არ გვქონდა შესაძლებლობა, გვემსჯელა ამ მნიშვნელოვან პროცესზე და 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებაზე. ამ კონტექსტში მინდა, ხაზი გავუსვა თანათავმჯდომარეებისა და ამერიკელი მონაწილეების აქტიურობას, მათ ძალისხმევას, რომ ეს რაუნდი გამართულიყო. ამ მხრივ მსურს, მათ მადლობა გადავუხადო. მიუხედავად სირთულეებისა, გამოწვევებისა, რომლის წინაშეც ვდგავართ, მოხერხდა და შესაძლებელი გახდა ჟენევის შემდგომი რაუნდის ჩატარება. თუმცა აქვე მინდა, ხაზი გავუსვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესი, როგორც ყოველთვის, საკმაოდ რთული იყო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ რაუნდზე განსაკუთრებით რთული იყო. პირველ რიგში იმის გამო, რომ გარკვეული წყვეტა იყო რაუნდებს შორის, ასევე იმის გამო, რომ დღეს საკმაოდ გართულებული უსაფრთხოების გარემოა ჩვენ გარშემო, რაც თავისთავად აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ამ წყვეტის გამოც, თანათავმჯდომარეების მხრიდან განსაზღვრული იყო, რომ რაუნდი კონცენტრირებული იქნებოდა მთლიანად 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებაზე. ჩვენც, რა თქმა უნდა, ყოველთვის ამ საკითხს ვაყენებთ დღის წესრიგში — ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება, რასაც ხაზს უსვამს ქართული მხარე და ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც მთლიანად დაკავშირებულია ქართულ-რუსულ კონფლიქტთან. პირველ რიგში, ეს არის დევნილთა დაბრუნების საკითხი, უსაფრთხოების გარანტიები, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ჩვენ ამაზე არ გვქონია რაიმე სახით პოზიტიური გამოხმაურება რუსული მხრიდან, თუმცა პროცესი გრძელდება და ვნახოთ. მოგეხსენებათ, 6-პუნქტიან შეთანხმებაზე საქართველო ასრულებს თავის ვალდებულებას. რეალობა ისაა, რომ რუსეთი არ ასრულებს ამ ვალდებულებებს, დღეს ეს მოცემულობა გვაქვს.**

**კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმ პოზიციონირებას, რომელიც ჰქონდათ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს პროცესი რთულია. დეტალებზე საუბარი არც მიღებული და არც რელევანტურია. ამხელა წყვეტის შემდეგ გვქონდა შესაძლებლობა, შევკრებილიყავით, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.**

**ეს მარტივი არ იყო და ამის უკანაც დიდი ძალისხმევა იდგა. ჩვენ ამ რაუნდებზე იმიტომ მოვდივართ ხოლმე, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, დადგება მომენტი, როდესაც გვექნება შესაძლებლობა, კონკრეტულად ვისაუბროთ კონფლიქტის ეტაპობრივ და ნაბიჯ-ნაბიჯ გადაჭრაზე“,** — განაცხადა ლაშა დარსალიამ.

## უკრაინელები წინ მიიწევენ



უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხერსონის ოლქის ბერისლავსკის რაიონში 3 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

**„მხოლოდ დღე-ღამის განმავლობაში, ხერსონის ოლქში ფსევდორეფერენდუმისგან გათავისუფლდა ისეთი დასახლებები, როგორიცაა ნოვოვოსკრესენსკოე, ნოვოგრიგორიევკა და პეტროპავლოვკა. „უკრაინის შეიარაღებული ძალების“ მოძრაობა გრძელდება“,** — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

## ოკუპანტებმა ზაპოროჟიე დაბომბეს

**დაბომბვის შედეგად, გარდაიცვალა 2 ადამიანი — ერთი ქალი ადგილზე, ერთი კი კლინიკაში გადაყვანის შემდეგ. მაშველებს მოქალაქეები ნანგრევებიდან ამოჰყავთ.**

ზაპოროჟიეს სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ოლექსანდრ სტარუხის ინფორმაციით, შენობის ნანგრევებში, სულ მცირე, 5 ადამიანი იყო მოყოლილი.

**სტარუხის ცნობით, მაშველებმა ადგილიდან ბევრი ადამიანი გაიყვანეს — მათ შორის, 3 წლის გოგო, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

## ომი ახალ, უდავოდ, სახიფათო ფაზაში შევიდა...

**ვლადიმერ პუტინი იმედოვნებს, რომ სიცივე და გაზის მიწოდების შეწყვეტა, მაღალი ფასები და დაბალი ტემპერატურა ძირს გამოუთხრის ჩვენს ნებას, გავაგრძელოთ უკრაინის მხარდაჭერა. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ უკრაინისადმი ჩვენი მხარდაჭერა არ სუსტდება,** — ამის შესახებ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჟოზეფ ბორელმა, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, ევროკავშირის მხარდაჭერა უკრაინის მიმართ არის ურყევი და უკრაინის ბედი მათ მომავალზეც აისახება.

**„ჩვენ ახლა მკაფიო პოლიტიკა გვაქვს უკრაინის მიმართ. ჩვენი ნებაა, უზრუნველვყოთ, რომ უკრაინა შემოუერთდეს ევროკავშირს, რაც ამ პოლიტიკის მკაფიო მიზანია. ეს შესაძლებელი იქნება, როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით ასე დამოკიდებული რუსეთზე“,** — განაცხადა ჟოზეფ ბორელმა.

მისივე თქმით, უკრაინაში ომი სახიფათო ფაზაში შევიდა.

**„უკრაინა შეტევაზე გადადის. ომი ახალ ფაზაში შევიდა. უდავოდ, სახიფათო ფაზაა, ვინაიდან საშინელ სცენარში ვართ, რაზეც თვალი არ უნდა დავხუჭოთ. ეს არის კონვენციური ომის სცენარი, ატომური სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელიც ამ მომენტში ჩვეულებრივ სცენარს შორდება და ატომური იარაღის განთავსებით იმუქრება. ეს მართლაც შემაშფოთებელი სცენარია და ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ უკრაინისადმი ჩვენი მხარდაჭერა არ სუსტდება“,** — განაცხადა ბორელმა. მისი თქმით, მათ უნდა განაგრძონ რუსეთის იზოლირება.

## ამერიკა დუგინას მკვლელობაში უკრაინის მთავრობას ადანაშაულებს

**აშშ-ის სადაზვერვო უწყებები მიიჩნევენ, რომ უკრაინის მთავრობის ნაწილმა აგვისტოში მოსკოვის მახლობლად დანაღმული ავტომობილის აფეთქების სანქცია გასცა, რომლის დროსაც დარია დუგინა დაიღუპა.**

როგორც **The New York Times**-ი წერს, აშშ-ს თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია, არც სადაზვერვო და არც სხვა სახის დახმარებით. ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ წინასწარ არ იცოდნენ ოპერაციის შესახებ, ხოლო კონსულტაციების შემთხვევაში, მკვლელობის წინააღმდეგ იქნებოდნენ. ოფიციალური წყაროების ინფორმაციით, ოპერაციის შემდეგ, ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა უკრაინელ ოფიციალურ პირებს განხორციელებული მკვლელობის გამო შენიშვნა მისცეს.

ოპერაციაში უკრაინის თანამონაწილეობის შესახებ შეფასება, რომელიც აქამდე ცნობილი არ იყო, აშშ-ის მთავრობაში გასულ კვირას გავრცელდა. უკრაინამ მკვლელობაში მონაწილეობა უარყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მკვლელობაზე კონკრეტული ზომით ჯერ არ უპასუხია, აშშ შეშფოთებულია, რომ ასეთმა თავდასხმამ უკრაინელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მოსკოვის პროვოცირება შეიძლება მოახდინოს.



ამერიკელი ოფიციალური პირები იმედგაცრუებულნი იყვნენ სამხედრო და ფარული გეგმების შესახებ უკრაინის არასაკმარისი გამჭვირვალობის გამო. ზოგიერთი ამერიკელი ოფიციალური პირები ეჭვობენ, რომ ალექსანდრე დუგინი ოპერაციის რეალური სამიზნე იყო და რომ ოპერატიული მუშაკები, რომლებმაც ეს ოპერაცია ჩაატარეს, ფიქრობდნენ, რომ ის მანქანაში თავის ქალიშვილთან ერთად იქნებოდა.

ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა არ გაამჟღავნეს უკრაინის მთავრობის რომელმა ნაწილმა დართო ნება ოპერაციას, ვინ განახორციელა თავდასხმა, ან მოაწერა თუ არა ხელი პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აღნიშნულ მისიას. 21 აგვისტოს, მოსკოვის ოლქში ავტომობილი აფეთქდა, რომელიც რუსი ალექსანდრ დუგინის ქალიშვილს ეკუთვნოდა. დარია დუგინა ავტომობილში იმყოფებოდა და ის ადგილზე დაიღუპა. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურში განაცხადეს, რომ დარია დუგინას მკვლელობა უკრაინის სპეცსამსახურების მიერ იყო მომზადებული.



## ცოდვა უმადურთა!..

**ყოველმხრივ შემაშფოთებელია დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. სამწუხაროდ, შინაური თუ გარეშე არაკეთილმოსურნენი, ცოდვილებად ქცეულნი, ცდილობენ დღევანდელი გადასახედიდან, იმჟამინდელი ვითარების გაუაზრებლად, გააუფასურონ წინაპართა ღვაწლი. უმადურ ცოდვილთაგან ასე იქცა კრიტიკულად განსჯის საგნად საქართველოსთვის თავდადებული ერეკლე მეფის ღვაწლი.**

**წმინდა მამა გაბრიელმა იწინასწარმეტყველა ეს მოვლენაც და მრევლის ყურადღება, როგორც სჩვეოდა, სარწმუნოდ მიიპყრო. თავად განსაჯეთ: წმინდა მამა გაბრიელმა სვეტიცხოველში დაიჩოქა და ხმამაღლა თქვა: „დიდო მეფეო, ყოველი შენი ქმედება ქვეყნის წინაშე მართალი იყო, სხვა გზა ერის დაღუპვა იქნებოდა.“**

**მერე წამოდგა და ომახიანი ხმით ბრძანა: „დაეცით მისი საფლავის წინაშე და შეევედრეთ, მე ვიცი ერეკლე კიდევ გადაარჩენს საქართველოს.“**

უფალი იყოს ჩვენი შემწე, შევევედროთ, კიდევ ერხთელ აღვუსრულოთ მამა გაბრიელს ეს მიწიერ-ზეციური სურვილი...



**გურამ სალარაძე,**
**ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი; საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე.**

# აფხაზები მზად არიან, ომში არ წავიდნენ და რუსეთის მოქალაქეობაც დათმონ!



**არ ვიცი, აფხაზეთის რამდენი მოქალაქე ფლობს სადღეისოდ რეალურად რუსეთის მოქალაქეობას, მაგრამ ამოსავალ წერტილად 80 პროცენტიც რომ ავიღოთ, შემთხვევების უმრავლესობაში საუბარია რუსეთის საზღვარგარეთის პასპორტის ფლობაზე. რუსეთის ტერიტორიაზე ჩაწერა, ან, როგორც ბოლო დროს ამბობენ, „რეგისტრაცია“ ყველა მათგანს როდი აქვს. მაშასადამე, ვისაც ის არ გააჩნია, რუსულ სამხედრო მობილიზაციას ვერ დაექვემდებარება. მაგრამ ეს — იდეალში. რეალურად კი, ყველამ ვიცით, როგორ მუშაობს რუსეთში კანონები: რაც ელიტისთვისაა ნებადართული, რიგითი მოკვდავისთვის აკრძალულია. ამდენად, იმის იმედად, რომ სამხედრო მობილიზაცია კანონიერად ჩატარდება, ვერ ვიქნებით.**

ასე თვლის ჩვენს მიერ გამოკითხულთა უმრავლესობა.

**„თავად რუსეთშიც კი ბევრს არ სურს უკრაინასთან ომში წასვლა. ფანატიკოსები იქ, რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ ცოტანი და როგორც ჩანს, სხვა გზა აღარ დარჩათ, თუ არა სხვა ქვეყნებში აგროვონ ხალხი. აფხაზეთი კი ყურის ძირშია და სურთ, ჩვენს ბიჭებს აიძულონ, ომში მათ ნაცვლად წავიდნენ“,** — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე მარია.

**„საზღვარზე უკვე იქმნება პრობლემები. ჩვენს ბიჭებს უცხადებენ, რომ არ გაატარებენ, სანამ მობილიზაციაზე თანხმობას არ მოაწერენ ხელს. თანაც, ამას სთხოვენ ყველას, განურჩევლად ასაკისა. ჩვენს „მეგობარ“ რუსეთს სურს, დაგვღუპოს, ჩვენი ახალგაზრდობა სასიკვდილოდ გაგზავნოს“,** — ამბობს ჩვენი რესპონდენტი არკადი.

**„აფხაზეთში მობილიზაცია არ და ვერ უნდა ჩატარდეს. რუსეთს თავისი 150-მილიონიანი მოსახლეობით აფხაზების გარეშეც ჰყავს დამცველები. მხარდაჭერას რაც შეეხება, ჩვენი მოხალისეები უკვე ისედაც იცავენ დონბასს. დანარჩენები კი აქ გვჭირდებიან — შინ, მათ ოჯახებსა და სამშობლოში“,** — წერს Facebook-ში ომის ვეტერანი ლაშა ზუხბა. ანალოგიური მოსაზრება აქვს ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობასაც.

**„ეს აფხაზი ერის საუკეთესო ნაწილის განადგურების ტოლფასია და დაუშვებელი! გვეუბნებიან, რუსეთთან დიდ შეთანხმებაში აფხაზეთმა საჭიროების შემთხვევაში რუსეთის მხარდამხარ ბრძოლის ვალდებულება აიღოო. ჰოდა, იომონ მათ, ვინც ამ შეთანხმებას ლობირებდა და შემდეგ ხელი მოაწერა! ისინი წავიდნენ ჩვენი შვილების ნაცვლად ომში!“,** — აცხადებს ჩვენი თანამოსაუბრე ფატიმა.

**„როსსტატის 2022 წლის მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობა 145 მლნ ადამიანს შეადგენს. და რა, 300 000 კაცს ვერ იპოვიან ომში გასაგზავნად?! რა თქმა უნდა, იპოვიან! მაგრამ რატომღაც ჩვენი ბიჭების ჩათრევა სურთ ამ ჭაობში... იკმარონ, რომ იქ „პიატნაშკას“ აფხაზური ბატალიონი იბრძვის, უკვე გვყავს დაღუპულები. გვსურს, ვინც უკრაინაშია დარჩენილი, საღი და სალამათი დაგვიბრუნდეს, რუსები კი ამ დროს კიდევ გვთხოვენ ბიჭების გაგზავნას?! ამის დაშვება არ შეიძლება — თუნდაც რუსეთთან ურთიერთობების გაწყვეტის ფასად დაგვიჯდეს!“,** — ამბობს ჩვენი რესპონდენტი თამარი.

პრეზიდენტ პუტინის მიერ მობილიზაციის გამოცხადებიდან გასული დღეების განმავლობაში აფხაზეთში არ წყდება აგრესიული, რიგ შემთხვევებში კი ხისტი შეფასებები რუსეთის პოლიტიკის მიმართ. რუსული ჯარის რიგებში მოხვედრის შიშმა იმდენად შეიპყრო აფხაზური საზოგადოება, მისი ახალგაზრდული ნაწილი, რომ ტურისტული სეზონის აქტიურ თვეებში რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი დაცარიელდა.

**„ჩვენთვის ერთადერთი გასასვლელი რუსეთშია — მთელი დანარჩენი მსოფლიო ჩვენთვის ჩაკეტილია. გამოდის, ახლა ჩვენს ბიჭებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ, — სიკვდილი, ან იზოლაციაში ჯდომა?! რუსებმა თავად იბრძოლონ საკუთარი ინტერესებისთვის! მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, აფხაზეთმა მათთვის უკვე ისედაც ბევრი გააკეთა“, — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე რუსლანი.**

თუმცა არიან ისეთებიც, ვისაც რუსეთის ომში აფხაზეთის მონაწილეობა ნორმალურად მიაჩნია.

**„რა გველის, თუ რუსეთი წააგებს? უმჯობესი არაა, ახლა დავეხმაროთ, ვიდრე მერე ყველაფერი დავკარგოთ? რუსეთი ყოველწლიურად 5 მილიარდი რუბლით გვეხმარება, ჩვენი მოსახლეობა რუსეთიდან 10 მლრდ-ზე მეტი ღირებულების სურსათსა და სხვა საქონელს ყიდულობს. ყველაფერს რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გვერდში უნდა ამოვუდგეთ“,** — ამბობენ მობილიზაციის მხარდამჭერი მოქალაქეები.

მაგრამ არგუმენტები, უნდა ითქვას, საკმაოდ სუსტია. დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი აფხაზეთის 2-3 ათასი მკვიდრი რუსულ ჯარს დიდად ვერაფრით დაეხმარება, სპეცოპერაციის შედეგზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს, ჩვენი სამშობლოს გენოფონდს კი ეს კოლოსალურ ზიანს მოუტანს. და ეს მთავარი არგუმენტია, რომელსაც არსებულ ვითარებაში შეიძლება, მნიშვნელობა ჰქონდეს.

**„მათ, ვინც მხარს უჭერს იდეას, ჩვენი ახალგაზრდობა რუსულ ჯარში გავუშვათ, ალბათ, არც შვილები ჰყავთ, არც ძმები. მხოლოდ ერის მოძულეს შეუძლია, ისურვოს ახალგაზრდობის გაწყვეტა. თუ რუსეთი მოიგებს, ჩვენი წვლილი ამ გამარჯვებაში უკვე შეტანილი გვაქვს — აფხაზები 2014 წლიდან იბრძვიან დონბასში. ხოლო თუ წააგებს, თავად დაგვჭირდება სამშობლოს დაცვა და აქ უკვე აღარც რუსეთისთვის ეცლება ვინმეს, აღარც უკრაინისთვის. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ ახლა“,** — თვლის ჩვენი რესპონდენტი ელვირა.

**„ახალგაზრდობის, ჩვენი შვილების სასიკვდილოდ გაწირვა მხოლოდ მტერს შეუძლია. თუ მსგავს იდეას რომელიმე აფხაზი გამოთქვამს, ესე იგი, მოღალატეა. აფხაზები 2014 წლიდან მხარში უდგანან რუს სამხედროებს, უკვე არაერთი ბიჭი დაგვეღუპა ან დაგვისახიჩრდა. ახლა რა სურთ? — რომ უკლებლივ ყველა გავგზავნოთ ომში, რათა რუსების მოწონება დავიმსახუროთ?! იკმარონ, რაც უკვე გავუკეთეთ. თუ რუსებს არ მოსწონთ, უკან წაიღონ თავისი მოქალაქეობა და თავი დაანებონ ჩვენს ახალგაზრდობას. საკუთარი ნებით ჩვენს ბიჭებს საზარბაზნე ხორცად არ გავუშვებთ. რუსეთმა ეს უნდა შეიგნოს!“,** — ამბობს ჩვენი თანამოსაზუბრე რაუფი.

ნათქვამია, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრიაო. მაგრამ აფხაზეთის შემთხვევაში ასეთია უმრავლესობის აზრი: მათ რუსეთის სავალდებულო სამხედრო მობილიზაციაში მონაწილეობა არ სურთ — მიუხედავად რუსეთის მოქალაქეობისა, რომელზეც მზად არიან, უარი თქვან უკრაინასთან ომში წასვლისათვის იძულების შემთხვევაში.

**კრისტინა ავიძბა**

# გვარის სახელოვან ისტორიას წარმატებული ადამიანები ქმნიან!



## მერაბ კოსტავა გვარის ულირსეულესი შვილია!

**მივესალმები პროექტს, რომელიც გვარების გაცნობას და წარმოჩენას ემსახურება. დიდი მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას და მის ხელმძღვანელობას, რომელიც ზრუნავს საგვარეულო მოძრაობის მხარდაჭერისათვის და თანადგომისთვის. ეს კი სხვა არაფერია თუ არა ერის გამთლიანებისთვის გადადგმული სასიკეთო ნაბიჯი. ასე დაიწყო საუბარი კოსტავების გვარის წინამძღოლმა ბატონმა შალვა კოსტავამ.**

– თქვენ გაინტერესებთ ჩვენი გვარის ისტორია და საგვარეულო მოძრაობაში შეტანილი წვლილი. გულახდილად გეტყვით, კოსტავების გვარში საკეთებელი ნამდვილად ბევრია და კიდეც ვზრუნავთ გვარის გამთლიანება-შეკავშირებისთვის. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი და მისი ხელმძღვანელი ბატონი ირაკლი ბრეგვაძე.

ჩვენი გვარი მისმა უწმინდესობამ სამების საკათედრო ტაძარში 2018 წლის 18 ნოემბერს დალოცა.

საგვარეულო ხატი დაგვიწერა ბერმა კირიონ ადეიშვილმა. ხატი შევარჩიეთ ოქონის სახელობის, რომლის ორიგინალიც ეროვნულ მუზეუმშია დაცული. დიდი სურვილი გვაქვს სოფელ მაღლაკში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) ავაშენოთ საგვარეულო ეკლესია, სადაც დაბრძანდება ეს ხატი. უფრო სწორად, აღვადგინოთ სოფელში არსებული ოქონის სახელობის ძველი ტაძარი, სადაც 40-იანი წლების დასაწყისში მსახურობდა მღვდელი ეგნატე კოსტავა. (სამწუხაროდ, არქივებში ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ მისი ფოტო).

გენეალოგიური კვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ჩვენი გვარი სვანეთიდანაა. XIII საუკუნით თარიღდება დოკუმენტი, სადაც კოსტაანთა გვარით არიან მოხსენიებული სვანეთში.

შემდეგში XIV-XV საუკუნეებში გადმოსულან სამეგრელოში, სადაც გვარმა მიიღო მეგრული გვარ-სახელის სუფიქსი კოსტავა და შემდეგ გადასულან იმერეთსა და გურიაში, სადაც ძირითადად ამჟამადაც ცხოვრობენ.

სამეგრელოში მცირე რაოდენობით არიან კოსტავების გვარის წარმომადგენლები. რამდენადაც ვიცი, 4-5 ოჯახია სენაკის მუნიციპალიტეტში.

დღესდღეობით, კოსტავების განსახლების ძირითადი არეალია იმერეთსა და გურიაში. გურიაში, სოფელ კონჭკათში, არის კოსტავების უბანი, ხოლო იმერეთში - მაღლაკში აქაც კოსტავების უბანია. ასევე კოსტავები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ქუთაისში, ოზურგეთში, თბილისსა და ბათუმში. დანარჩენ ქალაქებში შედარებით მცირე რიცხვია წარმოჩენილი.

ჩვენ კოსტავების საგვარეულოზე გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი, სადაც უფრო დეტალურად არის გადმოცემული გვარის ისტორია. ამ ფილმის იდეის ავტორი და ერთ-ერთი რეჟისორი მე გახლავართ. ვფიქრობ, ფილმის გადაღება და გვარის ისტორიის მოძიება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფილმმა კიდევ უფრო გააერთიანა კოსტავების გვარის წარმომადგენლები, მათ გაიგეს თავიანთი გვარის წარმოშობის ისტორია, თუ ვინ არიან და საიდან მოდიან. ეს დაეხმარება მომავალ თაობებს, იცოდნენ, თუ ვისი გორისანი არიან.

კოსტავების ფილმის რეჟისორი არის ბატონი გიორგი მინდიაშვილი, რომელთან ერთადაც მე ვმუშაობდი საგვარეულოს შესახებ ერთ-ერთი პირველი დოკუმენტური ფილმის გადაღებაზე, რომელიც მინდიაშვილების საგვარეულოს შესახებ მოგვითხრობს. ამ ფილმის პრემიერა „თბილისი არტ-ჰოლში“ გაიმართა და მას უმრავი ადამიანი დაესწრო.

კოსტავების საგვარულოს გვაქვს ტრადიცია და ყოველ 26 მაისს ვიკრიბებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ბოლო შეხვედრა საგვარეულოს გვქონდა 2019 წელს ქუთაისში, მას შემდეგ შეხვედრა პანდემიის მიზეზით აღარ გამართულა და იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლიდან ეს ლამაზი ტრადიცია კვლავ აღდგება.

26 მაისი სიმბოლურად ავირჩიეთ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს დღე არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველოს ეროვნული გმირის,მერაბ კოსტავას დაბადების დღეც.

ვფიქრობ, რომ ადამიანები ქმნიან გვარს, ისტორიას და რომ არა ბატონი მერაბი და მისი მოღვაწეობა, კოსტავების გვარი ასე ცნობილი არ იქნებოდა. ბატონმა მერაბმა შექმნა ეპოქა და ის ჩვენი გვარის ღირსეული წარმომადგენელია. ამიტომ ჩვენი გვარის ახალგაზრდა თაობას კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვმატებს ასეთი გამორჩეული, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანის მოგვარეობა.

ამ დღეებში ტელევიზიით ნაჩვენები იყო ფილმი მერაბ კოსტავას შესახებ, სადაც მისი დაკრძალვის დღეს უწმინდესი ამბობს: **„ღმერთმა მოგვასწროს იმ იდეების განხორციელებას, რასაც შეეწირა მერაბ კოსტავა“.**

ვფიქრობ, დღეს კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ ნამდვილად დამოუკედებელ და გამთლიანებულ საქართველოში ვიცხოვროთ.

ჩვენ გვარში კიდევ არაერთი გამოჩენილი ადამიანი გვყავს: ბატონი თამაზ კოსტავა – „დინამოს“ ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და სპორტის დამსახურებული ოსტატი; გურამ კოსტავა – მოფარიკავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; გრიგოლ კოსტავა – საქართველოს სახალხო არტისტი, რომელიც მერაბ კოსტავას აღმზრდელი ბიძა იყო; არჩილ კოსტავა – პროფესორი, გამსახურდიას მთავრობის დროს იგი ქუთაისის თავკაცი იყო; მათე კოსტავა – ცნობილი მეღვინე ქუთაისში,რომელიც საბარძიმე ღვინოს ამზადებდა.

დღესაც არიან წარმატებული ადამინები ჩვენს გვარში, რომლებიც სპორტში,ხელოვნებაში, მედიცინასა და სხვა დარგში საქმიანობენ. ვფიქრობ, ისინიც ნათელ კვალს დატოვებენ საქართველოს ისტორიაში, ამრავლებენ და ასახელებენ კოსტავების გვარს, დასძინა ბატონმა შალვა კოსტავამ.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**



## თევზაძეთა გვარის ისტორია

## გვარიშვილობა გვავალდებულებს უკეთესად მუშაობას!

**ისტორია, საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერებაა. იგი, უპირველესად, მეხსიერებაა, რომელიც აყალიბებს საზოგადოების ცნობიერებას, თაობების ღირსებას და მომავლის სწორ ორიენტაციას. გვარიც ადამიანთა საზოგადოებაა და იგიც ისევე, როგორც ადამიანი, ცოცხლობს, ვითარდება და კვდება კიდეც (ან ფიზიკურად, ან მორალურად).**

**ამიტომ გადავწყვიტეთ თევზაძეებმა, ერთი რიგითი ქართული გვარის შვილებმა, შეგვესწავლა გვარის ისტორია, ყოველგვარი შეფერადებისა და გადამეტების გარეშე, რამეთუ ვთვლით, რომ თევზაძეები მინიატურული საქართველო ვართ. მართალია, პირობითად, ერთ გვარს წარმოვადგენთ, მაგრამ ყველანი სხვადასხვა გვარის დედების შვილები ვართ და ჩვენში მთელი საქართველოს გენეტიკაა ჩადებული. ამიტომ იყო ოდითგანვე, რომ გვარიშვილობა, თავისი არსით მამულიშვილობას, ერისშვილობას, ქართველობას უტოლდებოდა და, შესაბამისად, კარგი გვარიშვილობა, კარგ მამულიშვილობას, კარგ ქართველობას ნიშნავდა. ამდენად, ჩვენი გვარის ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილია.**

### წარსული

**თევზაძეთა საგვარეულოს წინაპრების წარმომავლობის შესახებ რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი დღეისთვის მოძიებული არაა. არსებობს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი გადმოცემებისა და ლოგიკური ანალიზის შედეგად შექმნილი ვერსიები, რომელთა შესწავლა-შემოწმება აქტიურად მიმდინარეობს.**

თევზაძეების განსახლების არეალი XIX საუკუნის დასაწყისამდე საკმაოდ შეზღუდული იყო და მოიცავდა მხოლოდ გურია-იმერეთის სამ სოფელს – ზემოხეთს (თხილაკნით), წიაღუბანს, მუხაყრუას (დღევანდელი კორმაღლის, კვირიკეს უბანს) და რაჭის ახალსოფელს, ვვარაუდობთ, რომ გვარი მაშინდელ გურიაში (ზემოხეთ-წიაღუბანში) დაიბადა. ამ ვერსიას ამაგრებს ის, რომ გვარი, XIX საუკუნის ბოლომდე მხოლოდ ზემოხსენებულ სოფლებსა და მათ მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში ფიქსირდება.

რაც შეეხება რაჭის ახალსოფელს (დღევანდელი ამბროლაურის გარეუბანი), იქ, სავარაუდოდ, XVII საუკუნის შუა ხანებში, გურიიდან ამოსული, ზემოხეთელი თევზაძის ერთი კომლი დასახლდა, რომლის შთამომავლობამ შექმნა გვარის რაჭული შტო. ის რომ იგი ნამდვილად ზემოხეთელი იყო დასტურდება რაჭველ თევზაძეებში გავრცელებული ზეპირი გადმოცემით და ქართული გეოდეზიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ნიკოლოზ თევზაძის ვაჟის, ასევე გეოდეზისტის და ასევე პროფესორ მერაბ თევზაძის ნაამბობიდან, რომ მისი ბაბუა არტემ თევზაძე ყოველი აპრილის ბოლოს მიემგზვრებოდა ზემოხეთში, რათა 6 მაისს – გიორგობას მოელოცა წინაპართა სალოცავები.

პირველი წერილობითი დოკუმენტი თევზაძეების შესახებ, 1696 წლით თარიღდება, და რაჭველ თევზაძეებს ეხება. თევზაძეთა საგვარეულოს წინაპრების წარმომავლობის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს, რომელთაგან ცალ-ცალკე, ვერც ერთი ვერ გვიხატავს რამდენადმე სრულ სურათს, თუმცა ერთობლიობაში გარკვეული მცირე დასკვნების საშუალებას იძლევა. კერძოდ:

– სოფელ წიაღუბნის მკვიდრებში გავრცელებული ვერსიით - თევზაძეების წინაპარი ვინმე თევზაია სამეგრელოდან მოსულა. სამშობლოში ბატონი შემოკვდომია და თავი გურიისთვის შეუფარებია. საცხოვრებლად უღრანი ტყე, დაუსახლებელი ადგილი (ახლანდელი ს. წიაღუბნის ტერიტორია) შეურჩევია.

მოკლული ბატონის შვილს ბევრი უძებნია მამის მკვლელი და, ბოლოს, მიუგნია. ადგილზე მისულს კარგად გამართული ოჯახი, მოვლილი კარ-მიდამო და აბიბინებული სახნავ-სათესი დახვედრია, ძლიერ მოხიბლულა თავისი ყმის შრომისმოყვარეობითა და გამჭრიახობით, თანაც ეჭვი შეპარვია თავისი მამის ალალმართლობაში და მასპინძლისთვის უთქვამს: „საცხოვრებლად **წიაღის კარგი უბანი** შეგირჩევია, ოჯახიც კარგად გაგიმართავს და იმსახურებ თავისუფლებასო“. ამბობენ, სწორედ ამიტომ დაერქვა ამ უბანს წიაღუბანიო.

მეორე ვერსიით, თევზაძეთა წინაპარი შესაძლოა სვანი ყოფილიყო (პროფესორი ედიშერ გვენეტაძე). ვინაიდან თევზაძეთა საყვარელი წმინდანები კვირიკე და ივლიტა განსაკუთრებით დაფასებული სვანეთშია (სოფ. კალა), შესაძლოა მშობლიური ადგილებიდან რაღაც მიზეზით აყრილი და გურიას თავშეფარებული სვანური ოჯახი ჩვენი წინაპარი ყოფილიყო. სვანეთიდან წამოსული კაცი, მხოლოდ სამეგრელოს გავლით მოხვდებოდა წიაღუბანში.

არსებული მასალებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ „...თევზაძეები თავისუფალი მოდგმის ხალხია და არასდროს ყოფილა მოძალადე. თევზაძეები თუმცა ჯიუტნი და ემოციურები არიან, მაგრამ ამავე დროს – ობიექტურნი და პრინციპულნი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერნი, ხორციელად ჯანმრთელნი, გონებით ნათელნი, უაღრესად თვითმყოფადები, მოკრძალებულნი, ხშირად მორცხვნი, მაგრამ ბრძოლაში გამბედავნი. ქვეყნის, ერის ოჯახის, მოყვასის, შრომის და საკუთარი თავის მოყვარულნი. მიისწრაფიან ამაღლებისაკენ, ცოდნისაკენ,

დამსახურებული დიდებისაკენ“. და კიდევ ერთი გარემოება – ჩვენი გვარის ფუძეა სიტყვა თევზი. თევზი კი „...არის სიცოცხლის, სისხარტის, მოძრაობის, თავისუფლების, წინსწრაფვის, სისუფთავის, სისპეტაკის, გარეგნული სრულყოფილების სიმბოლო, რაც აგრერიგად დამახასიათებელია ჩვენი გვარის კაცებისათვის. და კიდევ ერთი, თევზი თავის თავში ატარებს ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვარს.“ (სერგო თევზაძე, საგვარეულო მოძრაობის პიონერი).

თევზაძეები სისხლით, ხორცით და სულით საქართველოს შვილები, ჭეშმარიტი ქართველები და ქრისტიანები არიან. ქრისტეს რჯულისადმი თევზაძეთა ერთგულებას, მრავალი ისტორიული ფაქტი ადასტურებს:

თევზაძეების წმინდა მთაა ორკე, რომელიც დღევანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ზემოხეთში მდებარეობს და რომელზეც აღმართული იყო წმ. გიორგის სახელობის ეკლესია-მონასტერი. ზემოხეთელი თევზაძეების საყვარელი დღესასწაულია გიორგობა (6 მაისი).

1820 წელს ს.წიაღუბნის წმ.კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის მრევლი იყო 18 კომლი, მათგან 2 მღვდლისა და დიაკვნისა იყო. ამ მცირერიცხვოვანმა და არცთუ შეძლებულმა ჯგუფმა, 1798 წელს, ძველი ეკლესიის საძირკველზე ააშენა ახალი, იმავე წმინდანების სახელობის ხის ეკლესია, რომლის ერთ-ერთი პირველი წინამძღვარი იყო კვირიკელი ოთარ გაბრიელის ძე თევზაძე.



1801 წელს წმ.კვირიკესა და ივლიტას ახალი ეკლესია ააშენეს კვირიკელმა (ს.მუხაყრუას, ახლანდელი ს.კორმაღლის ნაწილის) თევზაძეებმა, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თევზაძეები წარმოადგენდნენ.

ბოლო 200 წლის განმავლობაში ღმერთსა და თავის ხალხს ემსახურებოდა ჩვენი გვარის რამდენიმე ათეული, სხვადასხვა თაობისა და რანგის – საეკლესიო მოღვაწე.

აქამდე ჩატარებულმა მოკრძალებულმა კვლევებმა გვიჩვენეს რომ საუკუნის ბოლო მეოთხედამდე თევზაძეების უდიდესი ნაწილი ყმა-გლეხები იყვნენ (საბატონო, საეკლესიო და თავისუფალი), რომლებსაც უფლება ჰქონდათ ეტარებინათ იარაღი, მონაწილეობა მიეღოთ საბრძოლო ლაშქრობებში და იარაღით ხელში დაეცვათ თავიანთი ქვეყანა.

2010 წლის აპრილში, თბილისში შეიკრიბა თევზაძეთა გვარის ყველაზე გულმხურვალე ნაწილი და შექმნეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თევზაძეთა საგვარეულო კავშირი“ 10-კაციანი გამგეობით. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კლიმენტი თევზაძე. კავშირის სტრატეგიულ მიზნად იმთავითვე ჩამოყალიბდა გვარის ისტორიის შესწავლა, მისი აწმყოს სრულყოფა და ჯანსაღ მომავალზე ზრუნვა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც კავშირმა ამ მიმართულებით გადადგა, იყო გამაერთიანებელი ფაქტორის ძიება. ერთხმად გადაწყდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი სარწმუნოება. ამისათვის სხვადასხვა კუთხეში განსახლებულ, სხვადასხვა თაობის თევზაძეებთან კონსულტაციებით დადგინდა ჩვენი გვარის უმეტესი ნაწილის საყვარელი სალოცავი. შეიქმნა წმ.კვირიკესა და ივლიტას საგვარეულო ხატი, ეთხოვა უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკურთხებინა იგი და დაელოცა გვარი. რაც შესრულდა 2010 წლის 26 სექტემბერს. საგვარეულო ზეიმმა აჩვენა, რომ თევზაძეების დიდი ნაწილი მიესალმება გვარის ძალისხმევის გაერთიანებისა და ერთმანეთის გვერდში დგომის იდეას. იქვე დაიბადა ახალი იდეა: აღდგენილიყო კავშირი საქართველოში მიმოფანტულ თევზაძეებს შორის, ითქვა და გაკეთდა კიდეც – ყოველ წელიწადს, 28 ივლისს, ჩვენი გვარისა და ოჯახური სიმყუდროვის მფარველი წმინდანების: კვირიკე და ივლიტას ხსენების დღეს – გვარი იკრიბება სოფელ წიაღუბანში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) და ერთად აღნიშნავს ამ დღესასწაულს.

გვარის თხოვნით გადაწყდა, აღგვედგინა თევზაძეების წმინდა ადგილი, ჩვენი ისტორიული სალოცავის აშენების საკითხი. მშენებლობა, 2013 წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდა.

კვირიკობის დღესასწაულზე - 28 ივლისს საზეიმოდ ეკურთხა კიდეც.

ტაძრის მშენებლობაში რამდენიმე ასეულმა თევზაძემ, წიაღუბნელმა, მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმა, თევზაძეების ნათესავებმა და მეგობრებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს არის ჩვენი პირველი დიდი გამოცდა და გამარჯვება, რომელსაც ერთობით მივაღწიეთ. ამ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანეს: **კახაბერ გურამის ძე თევზაძემ,** ბიზნესმენმა, მშენებლობის მთავარმა სპონსორმა; **ოთარ (ჟიგული) გივისძე თევზაძემ,** მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელმა და სპონსორმა; აწ გარდაცვლილმა მამა-შვილმა **ალექსანდრე და გიორგი თევზაძეებმა,** ბიზნესმენებმა, მშენებლობის სპონსორებმა; **მერაბ ნოდარის ძე თევზაძემ,** ბიზნესმენმა, მშენებლობის სპონსორმა; წიაღუბნელებმა: **შაქრო ჩხაიძემ, მარად თევზაძემ, ძმებმა ნოდარ და მურად თევზაძეებმა, მერაბ თევზაძემ, მერაბ გოგიტაძემ და სხვებმა .**

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხონი-სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე საბას მხარდაჭერა ტაძრის პროექტირებიდან დაწყებული, მისი მშენებლობის ყველა ეტაპზე, ასევე ტაძრის მოწყობისა და კურთხევის პროცესის ორგანიზაციისას. გვახარებდა და ძალას გვმატებდა ეპარქიის ახალგაზრდა ღვთისმსახურების, დეკანოზების მამა შიოსა და მამა მატათას უანგარო თანადგომა.

თევზაძეთა საგვარეულო კავშირი შეეცადა, უკვდავეყო გვარისა და ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე, აწ უკვე გარდაცვლილი თევზაძეების სახელები. ასეთი გვარიშვილებისთვის დაწესდა საპატიო წოდება „ღირსეული გვარიშვილი“ და კავშირის უმაღლესი ჯილდო „ოქროს თევზი“. ეს არის სკულპტურულად გამოსახული, წყლიდან ამომხტარი და მზისკენ მლტოლვარე ოქროს თევზი. კვარცხლბეკის ფასადზე მიკრულია ოქროსფერი ფირფიტა წარწერით. სკულპტურა შექმნეს მამა-შვილმა **რომან** და **ამირან თევზაძეებმა.**



„თევზაძეთა საგვარეულო კავშირის“ უმაღლესი ჯილდოთი „ოქროს თევზი“, 2013 წლის 28 ივლისს, ყრილობაზე, რომელიც გაიმართა სოფელ წიაღუბანში, დაჯილდოვდნენ: **სერგო თევზაძე** (დაბადებით ზემოხეთელი), საგვარეულო მოძრაობის პიონერი, ავტორი ნარკვევისა თევზაძეების საგვარეულო ისტორია; **ვალერიან თევზაძე** (ძერჟონიუკი, პოლონეთი), ქართველი ოფიცერი, საქართველოსა და პოლონეთის სამხედრო მოღვაწე. პირველი პოლკოვნიკი გვარში; **ნიკოლოზ თევზაძე** , მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს გეოდეზიურ-სამარკშეიდერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**გიორგი თევზაძე**, ასტრონომი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

## აწმყო

**ჩემსა და მომდევნო ორ თაობას მძიმე გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ. შინაარეულობამ, ომებმა, მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა უამრავი სოციალური პრობლემა წარმოშვა. ამიტომ, გვარიშვილების მძიმე ყოფა კავშირის ზრუნვის საგანია. იგი ყურადღებით აკვირდება მიმდინარე მოვლენებს და, შეძლებისდაგვარად, დროულად რეაგირებს მათზე. ასე იყო კორონავირუსით გამოწვეული პირველი ლოკდაუნის დროსაც. დახმარებოდნენ შეჭირვებულ გვარიშვილებს საგვარეულო კავშირთან ერთად... პირველი, როგორც ყოველთვის, კახაბერ თევზაძე გამოეხმაურა. მისი ფინანსური შემოწირულობით შესყიდულ იქნა და წიაღუბნის 60-მდე კომლს დაურიგდა საკვები პროდუქტები..**

უკვე რამდენიმე წელია ცვალებადი ინტენსიურობით მიმდინარეობს საგვარეულო წიგნზე მუშაობა. მასში მონაწილეობენ პროფესიონალი ისტორიკოსები და მკვლევარები. გადაწყვეტილი გვაქვს, რომ საგვარეულო წიგნი იქნება სერიოზული, შეულამაზებელი ნარკვევი ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ.

ცხოვრებამ მკაფიოდ წარმოაჩინა ჩვენი გვარისა და გვარიშვილების რეალური შესაძლებლობები. რაოდენ სასიხარულო და საამაყოა ყოველი თევზაძისთვის ისეთი სახელოვანი ადამიანების სახლიკაცობა, როგორებიც არიან:

**რევაზ თევზაძე –** განთქმული ინჟინერმენავთობე, შესანიშნავი ორგანიზატორი და სახელმწიფო მოღვაწე;

**დავით თევზაძე –** თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, 6 შვილის მამა;

**გიგი თევზაძე –** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი;

**გიორგი თევზაძე** – თეატრალური მოღვაწე, ათეული წლების განმავლობაში რუსთაველის თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი. საგვარეულო მოძრაობის მამისეული კვალის ღირსეული გამგრძელებელი;

**გიორგი თევზაძე** – იურისტი, ცნობილი უფლებადამცველი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, **წმ.ილია მართლის საზოგადოების ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე;** საერთაშორისო ამნისტიის წევრი; გვარის უანგარო მსახური;

**ალექსანდრე თევზაძე** ფიზიკოსი, მათემატიკის დოქტორი (ასტროფიზიკის სპეციალობით), პროფესორი, მეცნიერი და მკვლევარი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, მრავალი უცხოური უნივერსიტეტისა და სამეცნიერო დაწესებულების ლექტორი და მკვლევარი;

**კახაბერ თევზაძე** – ბიზნესმენი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, წიაღუბნის წმ.კვირიკესა და ივლიტას ტაძრის ქტიტორი, მეცენატი და ქველმოქმედი, გვარისა და ს. წიაღუბნის გულმხურვალე პატრიოტი;

**ლევან თევზაძე** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლე; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე;

**თამაზ თევზაძე** – თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი;

**ნიკა თევზაძე –** ისტორიის დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი;

**ნიკა თევზაძე (ბათუმი)** – ექიმი, ბიზნესმენი, საგვარეულო მოძრაობის აქტივისტი და მრავალი სხვა.

* * *

**გვარის საამაყო წარსულს ამშვენებს ბრწყინვალე აწმყო და აიმედებს შესანიშნავი, ლამაზი სულისა და ხორცის ახალგაზრდობა – ჩვენი გვარისა და ქვეყნის იმედი და სახე. ოპტიმიზმის იმედი ნამდვილად გვაქვს და თანაც საფუძვლიანი. თუმცა სრული მასალების უქონლობის გამო მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

გადაწყვეტილი გვაქვს აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალურ მმართველობებთან და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ზემოხეთისა და წიაღუბნის მისასვლელი საავტომობილო გზების კეთილმოსაწყობად.

საგვარეულო ისტორიის შედგენა ერთ წელიწადში დამთავრდება.

გადაწყვეტილია კავშირის ემბლემის, დროშისა და ჰიმნის შექმნა;

ქვეყნის მასშტაბით ვუზრუნველყოფთ თევზაძეთა კომპაქტურად განსახლების ადგილების მონახულებას, მათი და ზოგადად გვარის ისტორიის შესახებ იქ შესაძლო არსებული ზეპირი გადმოცემების და დოკუმენტური მასალის შეგროვებას. ადგილობრივი ფილიალების შექმნას და კავშირის მორიგი ყრილობის ჩატარებას, ახალი ხელმძღვანელობის არჩევას.

**კლიმენტი თევზაძე,**

თევზაძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე



# წლის საუკეთესო მასწავლებელი ხულოელი როლანდ შავაძეა!

**5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გადაცემის ცერემონია გაიმართა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა. მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ყველა პედაგოგს, კონკურსის ფინალისტებს, პროფესიული დღე მიულოცა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში მასწავლებლების როლის მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

2022 წლის საუკეთესო მასწავლებელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მექეიძეების საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი **როლანდ შავაძე** გახდა, რომელსაც საპატიო ჯილდოსთან ერთად, ფულადი პრიზის სახით, 15 000 ლარი გადაეცა.

**„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ მაქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მივიღო ამ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებაში და მოგილოცოთ მასწავლებლის საერთაშორისო დღე, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით საზეიმოდ აღინიშნება. მოხარული ვარ, რომ ვაგრძელებთ ამ მნიშვნელოვან ტრადიციას და წელსაც, მასწავლებლის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, გამოვავლენთ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულს.**

**ეს პროექტი ნამდვილად გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ინიციატივა, რომელიც ჩვენი პედაგოგების დაფასებითა და მათი მოტივაციის ზრდით, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას ემსახურება. საბედნიეროდ, ჩვენ ქვეყანას ჰყავს უამრავი პედაგოგი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეებში ცოდნის სიყვარულის გაღვივებაზე და მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე. მსურს, მადლობა გადავუხადო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ორგანიზატორებს იმისთვის, რომ საზოგადოებას აძლევენ შესაძლებლობას, გაიცნონ ასეთი პედაგოგები და დაინახონ ის ფასდაუდებელი შრომა, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ეწევიან.**

**საამაყოა, რომ კიდევ ერთი პროფესიონალი ღირსეულად ატარებს 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულის წოდებას და კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელებს პროფესიულ საქმიანობას.**

**მასწავლებლობა ოდითგანვე ყველაზე საპატიო და, ამავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა – ყველა ვთანხმდებით, რომ ღირსეული, განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საწინდარია, ამაში კი, პედაგოგების როლი განუზომლად დიდია.**

**მინდა, ქუდი მოვიხარო თითოეული პედაგოგის წინაშე, რომლებიც თავიანთი შრომით ამტკიცებენ, რომ არიან ჭეშმარიტი გმირები და, პირდაპირი მნიშვნელობით, ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის უკეთეს ხვალინდელ დღეს.**

**ძვირფასო მასწავლებლებო, პირადად მე, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ყოველთვის ვიდგები თქვენს გვერდით და ყველაფერს გავაკეთებ, რომ თითოეულ თქვენგანს ჰქონდეს პროფესიული განვითარების, წინსვლისა და საინტერესო ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა“,** – მიულოცა პედაგოგებს განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

№158. პარასკევი-კვირა, 7-9 ოქტომბერი, 2022 წელი.




მოგეხსენებათ, კლასგარეშე ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში – ეს თანაბრად ითქმის როგორც საკითხავ, ისე ზეპირ ტექსტებზე.

მაგალითად საყვარელი პედაგოგის დაუვიწყარ წინადადებას მოვიყვან, რომელმაც გეოგრაფიის გაკვეთილზე მორიგ თავისუფალ თემად ფეხბურთი შემოგვთავაზა და როცა მსჯელობისას პარალელები ისტორიულ პერსონაჟებთან გავავლეთ, ბორის პაიჭაძეს ქართული ფეხბურთის დავით აღმაშენებელი უწოდა, ხოლო ავთანდილ ღოღობერიძეს – ილია ჭავჭავაძე. შემთხვევითი არაა, რომ ორივე 10-10 წელი კაპიტნობდა თბილისის „დინამოს".

შავიზღვისპირელ ინტელექტუალს საუკუნეთა სიღრმესთან სხვა ფაქტებიც აკავშირებდა: ბევრმა, ალბათ, არც იცოდა, რომ იგი კავკასიის ფრონტზე ომობდა და სიმბოლურია, რომ თბილისის „დინამოში" საბრძოლო ნათლობა 1944 წლის ოქტომბერში, ირანული ტურნეს დროს მიიღო.

ბასამ, როგორც მას მეგობრები ეძახდნენ, იქაურ მეორე ნაკრებს 5:1 მოგებულ შეხვედრაში 2 გოლი გაუტანა და შესვენებაზე, როცა ანგარიში უკვე 5:0 იყო, საელჩოს თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ სტუმართათვის ეთხოვათ, მეტი ბურთი აღარ გაიტანოთ, თორემ შაჰი ეროვნულ ნაკრებთან მეორე მატჩს აღარ დაესწრებაო.

მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ არც უფრო ძლიერი მეტოქე დავინდეთ – 4:0. სხვათა შორის, მონარქის დაბადების დღეს.

როცა ლეგენდარულ იუბილარზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას: თავადაც შემოქმედი ფეხბურთელი გულშემატკივართა დიდი არმიისა თუ კალმოსანთა შთაგონების წყაროს წარმოადგენდა: ქართული ფეხბურთის არწივი (გულბათ ტორაძე), ჩვენი ფეხბურთის ბეთჰოვენი (გოგი დემეტრაძე), ქართული ფეხბურთის ბერმუხა (დემიკო ლოლაძე), ფეხბურთის კლასიკოსი (ოთარ მიმინოშვილი), ქართული ფეხბურთის პატრიარქი (დურმიშხან ცინცაძე), ქართული ფეხბურთის ამომავალი მზე (ნიკო ცაგარეიშვილი), ქართული ფეხბურთის მინდია (ოთარ ჭითანავა) და სხვა მრავალი.

აღარაფერს ვამბობთ ნოდარ დუმბაძის, იოსებ ნონეშვილის, ქართლოს კასრაძის, გიზო ნიშნიანიძის, გიორგი შატბერაშვილისა თუ სხვათა პოეტურ ქმნილებებზე, რომლებიც თავიანთ კერპს „ვეფხისტყაოსნის" უკვდავ გმირს ადარებდნენ – იგი ხომ მართლაც ავთანდილობდა მწვანე მინდორზე!

თავს უფლებას ვაძლევთ, მას ქართული ფეხბურთის ბულბულიც ვუწოდოთ და დავძენთ, რომ სავსებით ლოგიკურია, ვიდრე პანთეონში გადაასვენებდნენ, ჰამლეტ გონაშვილის სიახლოვეს რომ განისვენებდა!

# ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე -

ავთანდილ ღოღობერიძე ეზოს ბავშვებს თავს გვიტოლებდა, მატჩის დღეს სულმოუთქმელად ველოდით მის მოსვლას. ჩაგვსვამდა თავის „ზიმში", მივყავდით სტადიონზე და ფეხბურთელთა გვერდით დაგვსვამდა, ეს კი ჩვენთვის დიდი დღესასწაული გახლდათ.

საშინელი ავტოავარიის შედეგად პრაქტიკულად უიმედო მდგომარეობაში მყოფი ბასას მიმართ მისმა ოჯახმა საოცარი თავდადება გამოიჩინა. ლოგინად ჩავარდნილ დიდ სპორტსმენს ყოველწუთიერი მზრუნველობა, სითბო და სიყვარული არ მოჰკლებია, განსაკუთრებით, მისი მშვენიერი მეუღლისგან.

**რამაზ ხუროძე.**

* * *

ავთანდილ ღოღობერიძე ჩემს მეხსიერებაში 1957 წლიდან შემოვიდა. ამ პერიოდში დავუმეგობრდი თენგო ღოღობერიძეს, რომელიც ჩემი თანაკლასელი და, ამავე დროს, კარის მეზობელი იყო.

ზოგადად, ჩვენს ოჯახებს შორის ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

მცხეთის საავადმყოფოში, სადაც ბასა ავარიის შემდგომ გადაიყვანეს, უამრავი პიროვნება და გულშემატკივარი მოდიოდა ამბის გასაგებად და დასახმარებლად. მთელი საქართველო შეძრული იყო ამ ფაქტით.

მახსოვს გამოჩენილი ქართველი ქირურგის ეგნატე ფიფიასა და მისი უკრაინელი კოლეგის ნიკოლაი ამოსოვის (იმ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა) ვიზიტი კლინიკაში. საინტერესო ფრაზა მოვისმინე, რომელიც ნიკოლაი ამოსოვმა თქვა კონსილიუმის დასრულების შემდგომ: „ვერ ვხედავ კონსილიუმში ჩემი მონაწილეობის აზრს – თქვენ ხომ ისეთი კორიფე გყავთ, როგორიც ეგნატე ფიფიაა".

ძალიან დიდი სითბოთი და პატივისცემით ვიხსენებ ბასასთან ურთიერთობას. იგი ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნება იყო როგორც სპორტულ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**თეიმურაზ ხუროძე.**

* * *

მოსკოვის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი ვარ. იმ პერიოდში დედა მძიმედ იყო ავად და მოსკოვში ვშოულობდი დეფიციტურ წამალს, რომელსაც თბილისში ხან ნაცნობს ვატანდი, ხან თვითონ ჩამომქონდა.

1960 წლის ზაფხულის ერთ დღეს ვნუკოვოს აეროპორტში ვარ. ვერ მოვახერხე ბილეთის შოვნა და ვზივარ შეწუხებული ჩემთვის, წამლით ხელში.

მოულოდნელად ჩვენი კუმირი, თბილისის „დინამოს" გუნდის კაპიტანი დამადგა თავზე, მკითხა მოწყენილობის მიზეზი და გავუმხილე ჩემი გასაჭირი.

ბატონი ავთანდილი წავიდა, ზუსტად ხუთ წუთში დაბრუნდა და მითხრა გამომყევიო. თვითმფრინავში ფეხბურთელებს გააცნო ჩემი თავი და ადგილი მიმიჩინა. მასში ხომ ადამიანი მოქმედებდა და არავითარი თვითრეკლამა.



ყველაფერი ალბათ დედის ფაქტორმა გადაწყვიტა.

**თამაზ შილაკაძე**

* * *

თაობებს ჰყავდა თავისი კუმირები – პაიჭაძიდან მესხამდე, მაგრამ ავთანდილ ღოღობერიძე მაინც სხვა იყო. მან ოც წელზე მეტი გაატარა მოედანზე, სადაც შორიდანვე გამოარჩევდით თავისი სპეციფიკური, ქართული ტანით და მოძრაობით, ისევე, როგორც ჟორა შავგულიძეს სხვა მსახიობებისგან.

ბასას, გარდა დრიბლინგისა და მოედნის ხედვისა, ერთი რამ მაინც გამორჩეული ჰქონდა – რანაირი სიძლიერითაც არ უნდა ყოფილიყო დარტყმული ბურთი და რა სიმაღლიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი წამოსული, ისეთი ოსტატობით იცოდა ამ ბურთის ფეხით ჩამოხსნა, მიწაზე დადება და გაჩერება, რომ ბევრ ხელთათმნიან მეკარესაც კი შეშურდებოდა.

ავთანდილ ღოღობერიძე ისეთ პიროვნებებს ეკუთვნოდა, რომლებიც სიტუაციის მიხედვით არ იცვლებიან. ჩემს სახელოსნოში, მის პორტრეტზე მუშაობისას, ისეთი თავაზიანი, კეთილგანწყობილი და კონტაქტური იყო, როგორც მოედანზე.

**თემო ჯყონია.**

* * *

1959 წლის სეზონში თბილისის დინამოელებმა ბოლოს და ბოლოს, „იპოვეს საკუთარი თავი" და კოლექტიურ თამაშში მარჯვედ გამოიყენეს ცალკეულ მოთამაშეთა დამახასიათებელი თვისებები.

მრავალრიცხოვან მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო ქართველ ფეხბურთელთა ტემპერამენტმა, თამაშის თავისებურმა სტილმა, გუნდის სული, მრავალრიცხოვან შეტევათა ორგანიზატორი კი გუნდის კაპიტანი ავთანდილ ღოღობერიძე გახლდათ.

**გავრიილ კაჩალინი.**

* * *

თბილისის „დინამოს" თავდასხმის ლიდერის ესტაფეტა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ბორის პაიჭაძიდან აიტაცა მეორე შესანიშნავმა ფეხბურთელმა ავთანდილ ღოღობერიძემ. იგი იყო სწრაფი, ტექნიკური, გამძლე, ჭკვიანი მოთამაშე, მე ვიტყოდი – მახვილგონიერი, უპირველესად, მეტოქის მოტყუებისას.

განსაკუთრებული მოხერხებით ასრულებდა ერთ ფანდს. ჩვეულებრივ, ეს ხდებოდა კარის ხაზთან, საჯარიმო მოედნის შიგნით: როცა მას უტევდნენ, ღოღობერიძე უმალ ბურთს ფარავდა და როგორც კი მეტოქე ფეხს გაიწვდიდა ბურთის დასაუფლებლად, ბასა ბურთს დაბლა გააგორებდა მცველის ფეხებს შორის, თვითონ კი წინ გადიოდა და მეკარის ცხვირწინ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ერთობ ეფექტიანი სანახაობა გახლდათ.

**მიხაილ იაკუშინი.**

* * *

მახსოვს ბრწყინვალე საფეხბურთო კაპიტნები – შოთა შავგულიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე...

ღირსეული, ავტორიტეტიანი, მცოდნე და გამოცდილი კაპიტანი იყო თბილისის „დინამოს" ნამდვილი მეთაური, მთელი კოლექტივის სული და გული, ქართული ფეხბურთის ნამდვილი ბერმუხა, უბრწყინვალესი ფეხბურთელი და დიდი სპორტსმენი ავთანდილ ღოღობერიძე, ბასა, როგორც შინაურულად ვეძახდით. იგი მუდამ მხარში ედგა გუნდის ხელმძღვანელობას. ამავე დროს, თვითონ წამყვანი მოთამაშე, ცენტრალური ფიგურა მინდორზე, სწორედ პარტნიორი და მხარის ამბმელი იყო თანაგუნდელთათვისაც.

სულით ხორცამდე ჩვენი, სამხრეთული, ქართული ფეხბურთის ტიპური წარმომადგენელი ბურთს ვირტუოზულად ფლობდა და არ არსებობდა ილეთი, რომელიც მას სრულყოფილებამდე არ ჰქონდა დახვეწილი.

ამავე დროს, განცვიფრებას იწვევდა მისი წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა, დიდ დატვირთვათა გადატანის, თითქმის განუსაზღვრელ დიაპაზონზე მოქმედების უნარი.

ავთანდილ ღოღობერიძე 1951 წელს აირჩიეს თბილისის „დინამოს" კაპიტნად. ფაქტიურად, ეს არც იყო არ-



ჩევანი, ვინაიდან არც ერთ მოთამაშეს აზრად არ მოუვიდოდა სხვა კაპიტანზე ეფიქრა.

ღოღობერიძის სიტყვა კანონი იყო ყველასთვის მინდორზეც და, საერთოდ, საფეხბურთო ცხოვრებაშიც. მას მუდამ ჰქონდა თავისი ახალგაზრდა მეგობრებისთვის ტკბილი სიტყვა, გონივრული რჩევა-დარიგება, საქმიანი შენიშვნა, იცოდა დახმარება. ასე იყო წვრთნის დროსაც.

ვაი მას, ვინც წაიზარმაცებდა და სასხვათაშორისოდ მოიქცეოდა მინდორზე. კაპიტანს ეს არ გამოეპარებოდა. მისი შენიშვნა მუდამ სამართლიანი იყო, ამიტომ მოთამაშეებიც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელს.

ასე იყო მერეც, როცა ავთანდილ ღოღობერიძე თბილისის „დინამოს" მწვრთნელად და გუნდის უფროსად დაინიშნა.

არ მახსოვს, ოდესმე უხეშობა ჩაედინოს მინდორზე, შეუფერებელი ჟესტი გაეკეთებინოს ან საყვედური მიეღოს მსაჯისგან. პირიქით, რამდენჯერ მინახავს, რომ მსაჯისთვის დაუსწრია და იქვე, მინდორზე თამაშისას გაუფრთხილებია უხეშობის ჩამდენი თავისი გუნდის წევრი. დიახ, მისი ჯენტლმენური საქციელი სამაგალითო გახლდათ.

საბჭოთა ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავის



# ზოგადქართული მოვლენა

## სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1922 წლის 3 აგვისტოს სოხუმში. თამაშობდა სოხუმის პიფჩევიკის ჭაბუკთა გუნდში, სოხუმის დინამოსა და თბილისის დინამოში. სსრკ პირველობაზე 341 შეხვედრაში გაიტანა 127 ბურთი, რაც კლუბის რეკორდებია.**

**არის დინამოელთა მე-600 და მე-700 გოლების ავტორი, ასევე ფლობს კიდევ ერთ მიღწევას – ერთ ჩემპიონატში 25 ბურთი. იყო სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ორგზის ვერცხლისა და ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი, თასის გათამაშებისა და ხალხთა სპარტაკიადის ფინალისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფედოტოვის კლუბის წევრი (143 გოლი), თბილისის დინამოს კაპიტანი, XV ოლიმპიადის მონაწილე. სსრკ თასის 29 შეხვედრაში გაიტანა 12 ბურთი, ხოლო 62 საერთაშორისო მატჩში – 21 გოლი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დაჯილდოებულია მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. გარდაიცვალა 1980 წლის 20 ნოემბერს თბილისში.**

დიდი ღვაწლი დაუვიწყარია ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

**გორის პაიჭაძე**

* * *

სამწუხაროდ, ბასასთან ერთად 1961 წლის სეზონისწინა სამზადისისას მხოლოდ ორი თამაში მაქვს ჩატარებული დიღომში. გუნდის ახალწვეულები გაკვირვებული ვიყავით მისი უზადო თამაშით და ვნანობდით, რომ ახალგაზრდობის წლებში არ გვინახავს მინდორზე ფეხბურთის ეს დიდოსტატი.

ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც იგი გამოემშვიდობა დიდ სპორტს და მსგავსი ვირტუოზი ფეხბურთელი აღარ შემხვედრია. იმ წლებშიც, როდესაც თავს ანებებდა თამაშს, ისეთი ინტენსივობით ვარჯიშობდა, თითქოს ახალმიღებული იყო გუნდში.

ბატონ ავთანდილს ფეხბურთელები ყოველთვის თვალებში შევცქეროდით და გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი გვესწავლა მისგან, ამ მართლაც სამაგალითო პიროვნებისა და სპორტსმენისგან.

**მურთაზ ხურცილავა.**

* * *

ჩემთვის ბასა მეგობარიც იყო და აღმზრდელიც, დამრიგებელიც და გზის გამკვლევიც. თბილისის „დინამოში" ჩემი დებიუტიც მისი წყალობით მოხდა 1957 წელს.

ჩვენი მეკარეები – ვლადიმერ მარღანია და მიხეილ პირაევი ტრავმირებულები იყვნენ და გუნდის კაპიტან ავთანდილ ღოღობერიძის კატეგორიული მოთხოვნით ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან მოსკოვის „დინამოსთან" ნდობა მე გამომიცხადეს: – გუნდში გვყავს ახალგაზრდა, პერსპექტიული მეკარე, არავის ძებნა არ გვინდა, ამაზე უკეთეს მომენტს ახალგაზრდის გამოსაცდელად ვერც ვიპოვით, საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობასო.

მართალია, ის თამაში წავაგეთ (1:2), მაგრამ მატჩის შემდეგ ბასა გადამეხვია, გადამკოცნა და დიდი მადლობა გადამიხადა, იმედი არ გამიცრუეო. რამდენჯერ დავუტოვებივარ წვრთნის მერე და მხოლოდ ორნი ვვარჯიშობდით თავდაუზოგავად, არაქათის გამოცლამდე.

ერთხელ ავთანდილ ღოღობერიძე ავადმყოფი გამოვიდა მინდორზე და ისიც მახსოვს, როცა 1960 წლის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა წავაგეთ მოსკოვის „ტორპედოსთან", როგორ იჯდა თამაშის მერე ბასა გასახდელში და ჩვენთან ერთად ბალღივით ტიროდა.

**სერგო კოტრიკაძე.**

* * *

„დინამოში" ოთხი წელი მომიწია ბასას მხარდამხარ თამაში. ახალგაზრდობისთვის სამაგალითო სპორტსმენი და პიროვნება, იგი ანდრო ჟორდანიას მარჯვენა ხელი, გუნდის ნამდვილი ლიდერი გახლდათ. თამაშისას, ფაქტობრივად, ისეთი იყო, როგორც გუნდის კაპიტანი და მოთამაშე მწვრთნელი. ჩვენზე მეტს მუშაობდა, მისგან ვსწავლობდით ტექნიკურ ილეთებს, ტაქტიკას. ვერავინ დაითვლის, კარიერაში რამდენჯერ მოუცელავთ, მაგრამ არასდროს პასუხი არ გაუცია, ადგებოდა და ისევ აგრძელებდა თამაშს. ტყუილად კი არ უწოდეს ჩვენი ფეხბურთის სინდის-ნამუსი.

ცხოვრებაშიც საოცრად აკურატული იყო, ლამაზი შესახედაობის. უზადოდ ჩაცმა უყვარდა. უაღრესად თავაზიანს, სულ მომღიმარს, მხოლოდ კეთილი საქმეები უნდოდა ეკეთებინა და გულში სიავის ნატამალიც არ გააჩნდა.

გაგრაში ჩამოსული ნებისმიერი რუსი ფეხბურთელი ჩვენი პატარა ბიჭების შეკითხვაზე, თუ ვინ არის ყველაზე დიდი ფეხბურთელი, ერთხმად ასახელებდა ბასას. ჩვენი სათაყვანებელი პიროვნების თამაშის სანახავად გაგრიდან ლესელიძეში დავდიოდით.

იგი სიყვარულისა და სიკეთის განსახიერება იყო და ამქვეყნიდან ისე წავიდა, დედამიწაზე ერთი განაწყენებული ადამიანიც არ დაუტოვებია. ბასა ღოღობერიძე, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, ჩემი კერპი გახლდათ.

**ვლადიმერ გარქაია.**

* * *

მე და ბასა სოხუმელები ვიყავით. მართალია, იგი სოხუმში დაიბადა, მე კი არმავირში, მაგრამ მთელი ბავშვობის წლები ერთად გავატარეთ. ჩემი პირველი საფეხბურთო ნაბიჯებიც აფხაზეთის დედაქალაქში გადაიდგა.

ჩვენ, ახალგაზრდები ვაკვირდებოდით ისეთ დიდოსტატთა თამაშს, როგორებიც იყვნენ ბასა, გოგი ანთაძე, იურა ელჩიდი და კიდევ მრავალი სხვა. ეს დიდი სკოლა იყო ჩვენთვის. გარკვეული პერიოდი ბასას გვერდითაც მომიწია თამაში, იგი გახლდათ დიდი ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე აბსოლუტურად ყველაფრის გაკეთება შეეძლო – ფინტი იყო ეს, დრიბლინგი, მცველთათვის გვერდის ავლა, კარში დარტყმა, დისპეტჩერის ფუნქცია თუ უთვალავი ტექნიკური ილეთი. მოკლედ, მასში შერწყმული იყო დიდოსტატის ყველა თვისება.

**ნიკიტა სიმონიანი.**

* * *

ავთანდილ ღოღოგერიძე მთელი ქართული ფეხბურთის ისტორია გახლავთ. უდიდესი პიროვნება და ფეხბურთელი იყო, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ჰქონდა ფენომენალური ტექნიკა, ბურთის ტარების საოცარი უნარი და დრიბლინგი. მასთან ერთად თბილისის „დინამოში" ორი წლის განმავლობაში ვთამაშობდი. მთელ საბჭოთა კავშირში ქუხდა ავთანდილ ღოღობერიძის სახელი. ჩვენი „დინამოსთვის" იმდენი არავის გაუკეთებია, რამდენიც ბასამ გააკეთა.

**გიორგი სიჭინავა**

## 17 წლის შემდეგ



# დიეგოდან - კრუიფამდე

**რაოდენ სიმბოლურია, რომ ლეგენდარული ბასასადმი მიძღვნილი მადლიერების გამომხატველი სტრიქონების გვერდით ქართული ფეხბურთის აწმყოსა და მომავლის მორიგი წარმატების შესახებ მოვუთხრობთ მკითხველს.**

დიახ, ხვიჩა კვარაცხელიამ 17-წლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში ლეგიონერთა შორის მორიგი, მე-11 ქართული გოლი გაიტანა, რასაც შედეგიანი ჩაწოდებაც დაუმატა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიეგო მარადონას სარბიელის ბინადარ „ნაპოლის" მიერ ჯგუფურ რაუნდში „აიაქსთან" ამსტერდამში იოჰან კრუიფის სტადიონზე მოპოვებულ ზედიზედ მესამე ბრწყინვალე გამარჯვებაში 6:1(!).

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ „კვარამ" საწადელი მტკივანი ფეხით აისრულა, რადგან მასპინძლები მასზე მთელი შეხვედრის განმავლობაში „ნადირობდნენ".

**დანარჩენი შედეგები:**

**„ლივერპული" – რეინჯერსი" 2:0, „აინტრახტი" – „ტოტენჰემი" 0:0, „მარსელი" – „სპორტინგი" 4:1, „ბაიერნი" – „პლზენი" 5:0, „ინტერი" – „ბარსელონა" 1:0, „ბრიუგე" – „ატლეტიკო" 2:0, „პორტუ" „ლევერკუზენი" 2:0, „რეალი" – „შახტარი" 2:1, „სევილია" – „დორტმუნდი" 1:4, „სიტი" – „კოპენჰაგენი" 5:0, „ბენფიკა" – „პარი სენ – ჟერმენი" 1:1, „ზალცბურგი" – ზაგრების „დინამო" 1:0, „ლაიფციგი" – „სელტიკი" – 3:1, „იუვენტუსი" – „მაკაბი" 3:1, „ჩელსი" – „მილანი" 3:0.**

ასე რომ, ლუჩანო სპალეტის გუნდმა პირველივე წრის შემდეგ პრაქტიკულად გაინაღდა პლეი-ოფის საგზური და 12 ოქტომბერს ნიდერლანდელებს უკვე საკუთარ მინდორზე დაუხვდება, ხოლო მანამდე 9 ოქტომბერს იტალიის „სერია-ა"-ს მორიგი ტურის მატჩს სტუმრად ლუკა ლოჩოშვილის „კრემონეზესთან" გამართავს.




# ევროპის შანტაჟი... რუსული გაზით

**დღეს აღარავის უკვირს დასავლეთსა და რუსეთს შორის მტრულ განწყობათა გამალებული ზრდა, მაგრამ, რაც ამ დღეებში ბალტიის ზღვაში მოხდა, პირადპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათ შორის დაძაბულობის ესკალაციას ბოლო არ უჩანს.**

ამ ამბავს რომ უსმენ, გეგონება თანამედროვე თრილერს კითხულობ. 27 სექტემბერს, შვედეთის საზღვაო სააგენტომ განაცხადა, რომ რუსეთის გაზსადენიდან შვედეთისა და დანიის ტერიტორიულ წყლებში გაჟონვა მოხდა. სულ მალე, დანიის საზღვაო სააგენტომაც იგივე განცხადება გააკეთა. მომხდარის გამო, დანიამ გადაზიდვები შეზღუდა ხუთი საზღვაო მილის რადიუსში. გეხსომებათ, შვედეთის და დანიის წყლებში ორი ცნობილი რუსული გაზსადენი გადის: ჩრდილოეთის ნაკადი 1 და 2. ორივე ქვეყანამ გაჟონვის შესაძლო მიზეზების გამოკლევა დაიწყო.

გაზსადენის მმართველმა კომპანიამ გაჟონვას უპრეცედენტო უწოდა. მოგვიანებით, შვედეთის ეროვნულმა სეისმოლოგიურმა სააგენტომ განაცხადა, რომ გაჟონვის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ძლიერი აფეთქებაც დადასტურდა. სააგენტოს განმარტებით, ერთი აფეთქება ორშაბათს, დანიის კუნძულ ბორნჰოლმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით აღინიშნა, მეორე და უფრო მძლავრი აფეთქება კი, კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათი თქმით, აფეთქება 2.3 მაგნიტუდის მიწისძვრის სიმძლავრის მსგავსი რამ იყო, მაგრამ სააგენტო ირწმუნება, რომ ეს, მიწისძვრას კი არა, ძლიერ აფეთქებას უფრო ჰგავდა.

ყველა ალაპარაკდა საბოტაჟზე, მაგრამ უცნობია, ვინ მოაწყო ეს დივერსია. დაიწყო ერთმანეთზე გადაბრალება. რუსეთი ამერიკისკენ იშვერს ხელს. მტკიცებულებად, პოლონეთის ცნობილი პოლიტიკოსის რადეკ სიკორსკის განცხადება მოაქვს, რომელმაც ტვიტერზე განათავსა გაჟონვის ფოტო კომენტარით: პატარა ამბავი, მაგრამ როგორ მახარებს! მადლობა ამერიკას! რუსები, ასევე, იხსენებენ ბაიდენის მუქარას, რომ ბოლოს მოუღებს ამ გაზსადენებს.

გაჟონვის ამ ფაქტს ნორვეგიულ-პოლონური გაზსადენის Baltic Pipe-ის გაშვებაც დაემთხვა. გაზსადენი ბალტიის ზღვაში ნორვეგიიდან პოლონეთამდე გადის, და პოლონეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებს ნორვეგიული გაზით მოამარაგებს. დასავლეთი დივერსიის მოწყობაში რუსეთს ადანაშაულებს. ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარი ჟოზეფ ბორელი ასეთი კომენტარს აკეთებს: უსაფრთხოება და გარემოს დაცვა მთავარი პრიორიტეტია. ეს ინციდენტები არ არის შემთხვევითობა და ყველა ჩვენგანს აზარალებს. ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია ადასტურებს, რომ გაჟონვა განზრახ მოქმედების შედეგია.

ცნობილი გერმანული გამოცემა „შპიგელი“ იხსენებს, რომ ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ევროპელი პარტნიორები ჯერ კიდევ ზაფხულში გააფრთხილა რუსეთისგან გაზსადენებზე მოსალოდნელი შეტევის შესახებ. აქ უკვე ისმის კითხვა, რატომ უნდა აძლევდეს რუსეთს ხელს თავის მილსადენებზე საბოტაჟის მოწყობა, მით უმეტეს, რომ ამ მილსადენებით რუსეთი ბოლო დრომდე ახორციელებდა გაზის მომგებიან ექსპორტს ევროპაში. მაგრამ აქ ისიცაა ალსანიშნავი, რომ რუსეთი უკვე კარგა ხანია გაზის მიწოდების საკითხში ევროპის მიმართ შანტაჟზეა გადასული. რუსეთი 2021 წლიდან აშინებს ევროპას. უკრაინაში შეჭრის შემდეგ კი, კრემლი, ასე ვთქვათ, ღია საგაზო დაპირისპირებაზე გადავიდა.

სექტემბერში, გაზპრომმა Nord Stream-1 გათიშა. შედეგად, მიწოდება ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა. ევროპამ რუსეთი ენერგეტიკულ ბლოკადაში დაადანაშაულა. პუტინმა ევროპელებს ულტიმატუმის ენით უპასუხა, რომ ისინი თავად არიან დამნაშავე, რადგან სანქციები დააწესეს და უარი თქვეს Nord Stream-2-ის სერტიფიკაციაზე. ახლა კი, ამ გაზსადენების გამორთვით, ევროპას რუსული გაზის მიღების მხოლოდ ორი გზა დარჩა. ერთი უკრაინაზე გადის და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე რუსეთი ამ გაზსადენს ჩაკეტავს. მეორე, და ბოლო გზა, შავ ზღვაზე გადის, რომლითაც გაზი თურქეთს მიეწოდება. დასავლელი ანალიტიკოსების თქმით, გაზსადენზე დივერსია, პრინციპში, ჯდება კრემლის ფარული აგრესიის პროგრამაში, რომელიც მიზნად დასავლეთის დაშინებასა და დესტაბილიზაციას ისახავს. ეჭვის დადასტურების ან გაძლიერების შემთხვევაში, რომ აღნიშნული დივერსიის უკან რუსეთი დგას, კონტინენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვის პერსპექტივა რადიკალურად შეიცვლება. ასე ფიქრობენ ევროპაში! აზრი, რომ ევროკავშირის წყალქვეშა ენერგეტიკული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ახლა რუსული თავდასხმების სამიზნეა, სახიფათო და ფეთქებადია, რაც რუსეთსა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობას კიდევ უფრო გაზრდის.

# პროფაშისტური „იტალიის ძმები“

**იტალიაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მარიო დრაგის ძლივს შეკოწიწებული კოალიცია გასულ ზაფხულს დაიშალა. დაშლის მიზეზი კი, კოალიციაში შემავალ მემარჯვენე პარტიებს შორის გაუთავებელი დავა იყო. განხეთქილება, უპირველეს ყოვლისა, უკრაინის დახმარების საკითხმა გამოიწვია. არჩევნებმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ექსპერტთა მოლოდინი გამართლდა და ულტრა-მემარჯვენე ბლოკმა იტალიის პარლამენტის ორივე პალატაში უმრავლესობა მოიპოვა.**

გამარჯვებული ბლოკი ოთხი პარტიისგან შედგება: პირველია Fratelli d'Italia — იტალიის ძმები, რომლის ლიდერი გახლავთ Signora Georgia Meloni. ეს არის ევროსკეპტიციზმით ცნობილი მემერჯვენე პოპულისტური ეროვნულ-კონსერვატული პოლიტიკური ძალა. შემდეგ მოდის ბერლუსკონის Forza Italia — წინ იტალია, ლიბერალურ-კონსერვატული შეფერილობის



მემარჯვენე ცენტრისტული ძალა. მესამეა Lega ანუ მატეო სალვინის მემარჯვენე პოპულისტური ლიგა, და, ბოლოს, Moderati, ეგრეთ წოდებული ზომიერები, იგივე ცენტრისტები. ამ ბლოკმა, ერთად აღებულმა, ხმების 45 პროცენტი მოაგროვა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, Fratelli d'Italia — იტალიის ძმებმა, მარტომ, 26 პროცენტი მიიღო. ბერლუსკონის და სალვინის პარტიებმა, თითოეულმა, მხოლოდ 8 პროცენტი შეაგროვა. მწარედ დამარცხდნენ მემარცხენეები. მათი ჯამური მონაცემები, სადღაც, 27 პროცენტია. როგორც ჩანს, იტალიაში ეპოქალური პოლიტიკური ძვრების დრო დადგა.

პირველად თანამედროვე იტალიის ისტორიაში ულტრა-მემარჯვენეების მთავრობა იქმნება და ქალბატონი ჯორჯა მელონი პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი ხდება. ის დღეს დეპუტატთა პალატის წევრია და წინათ, ბერლუსკონის მეოთხე კაბინეტში, ახალგაზრდობის მინისტრის პორტფელი ებარა. თავიდან, კოალიციური მოლაპარაკებები შედგება, შემდეგ, პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს მთავრობა, თუმცა, რომც არ დაამტკიცოს, იტალიის კონსტიტუციის მიხედვით, დიდი არაფერი მოხდება. პრეზიდენტი სერჯო მატარელა, ალბათ, მაინც მოინდომებს მთავრობის ფორმალურად დამტკიცებას, რომ მხარი აუბას დემოკრატიული წესების დაცვით ჩატარებულ არჩევნებს, და ამით თავისი პოზიცია დაადასტუროს.

**შეიძლება ითქვას, სრულიად მსოფლიო დარჩა გაოცებული არჩევნების შედეგებით.**

**უკვირთ, რატომ აირჩია იტალიელმა ხალხმა ულტრა-მემარჯვენე პროფაშისტური პარტია და, რაც მთავარია, არის თუ არა ეს ნიშანდობლივი?**

პარტია „იტალიის ძმებს“ პროფაშისტურობის იარლიყი უკვე დიდი ხანია აქვს, მაგრამ ანალიტიკოსების აზრით, მთლად ასეც არაა საქმე. ამბობენ, იარლიყი ლიბერალურმა მედიამ მიაკრაო. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ პარტიაში, წინათ, ნამდვილად ფიგურირებდნენ ნეოფაშიზმთან გაიგივებული ოდიოზური პირები, მაგრამ დღეს, პარტია სულ სხვა იდეალებს ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობენ. Fratelli d'Italia 2012 წელს შეიქმნა, რომლის უდავო ლიდერი ყოველთვის ჯორჯა მელონი იყო. ის თავგამოდებით უხსნის საზოგადოებას, რომ ფაშისტურ იდეოლოგიას არ ეთანხმება. სულ სხვა თემაა ის, რომ იტალიაში, მუსოლინის ზოგიერთი პოლიტიკური იდეა ყოველთვის იმსახურებდა იტალიური მემარჯვენე პოლიტიკური ძალების კეთილგანწყობას.

ასე იყო ქრისტიან-დემოკრატთა აღზევების ხანაში, 1950-70-იან წლებში, და იგივე ხდებოდა ბერლუსკონის მმართველობის დროსაც. ჯორჯა მელონის თქმით, მას ფაშისტს იმიტომ ეძახიან, რომ ის ევროპის ლიბერალურ მეინსტრიმს არ ეთანხმება. მისი აზრით, მისი პარტია არის მემარჯვენე კონსერვატიული პარტია და არა ფაშისტური. მართლაც, მისი ლოზუნგები ლიბერალთა ყურს ძალიან ცუდად ხვდება. „იტალიის ძმები“ ეწინააღმდეგებიან ლგბტ ქორწინებებისა და ლგბტ წყვილების სამოქალაქო გაერთიანებების აღიარებას. მათ, ასევე, არ სურთ აბორტთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, მაგრამ არც ორსულობის შეწყვეტის წინააღმდეგნი არიან, როცა აბორტი გარდაუვალია. ასევე, იტალიის ძმები ემხრობიან მკაცრ ანტიმიგრაციულ პოლიტიკას. მათი აზრით, ყველა არალეგალური მიგრანტი უნდა გააძევონ ქვეყნიდან.

„იტალიის ძმების“ აზრით, ქვეყანა უნდა იცავდეს თავის ტრადიციებს და მისი საზოგადოება ქრისტიანულ ფასეულობებზე უნდა გაიზარდოს. ერთ-ერთი გამოსვლის დროს, ჯორჯა მელონიმ ასეთი სიტყვებით მიმართა ლიბერალებს: მე ვარ ჯორჯა, მე ვარ იტალიელი ქალი, დედა და ქრისტიანი, და თქვენ ამას ვერ წამართმევთ. ცხადია, ულტრა-მემარჯვენეების წარმატებამ ბრიუსელი ძალიან შეაშფოთა. ბრიუსელში ღელავენ, რომ ევროპის მესამე უმსხვილესმა ეკონომიკამ და ევროკავშირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა წევრმა, შესაძლოა, ყველაფერზე განსხვავებული პოზიცია აჩვენოს.

**ბრიუსელს, ასევე, ეშინია, რომ იტალიაში ულტრა-მემარჯვენეების წარმატება, შეიძლება, ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც გადამდები აღმოჩნდეს. ევროკავშირის ჩინოვნიკებმა მელონის მეორე ორბანი შეარქვეს, უკვე, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ულტრა-მემარჯვენეთა ბლოკმა პროუკრაინული მხარე დაიჭირა. ბლოკი ნატოს მომხრეა და მთავარ მოკავშირედ ამერიკას განიხილავს. ბლოკის სლოგანი ასეთია: იტალია ევროპის, ატლანტიკური ალიანსისა და დასავლეთის ნაწილია. მეტი იტალია ევროპაში, მეტი ევროპა მსოფლიოში. მოკლედ, ულტრა-მემარჯვენეებიის წარმატებამ ბრიუსელი უნდა დააფიქროს იმაზე, რა ეშლება. იქნებ, უმიზეზოდ არ უჩივიან ბრიუსელის დიქტატურას. ევროპა მრავალფეროვანია, ამბობენ დარგის ექსპერტები, ამიტომ, ბრიუსელმა სხვა ქვეყნების ტრადიციებს პატივი უნდა სცეს. თუმცა, ამაზე დავის დრო, ახლა, ნამდვილად არაა, როცა დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის ასეა გამწვავებული.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# კორეა ბალისტიკური რაკეტების გამოცემას არ წყვეტს

**ჩრდილოეთ კორეამ იაპონიის მიმართულებით მოკლე რადიუსზე მოქმედი კიდევ ორი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა. აღნიშნული მას შემდეგ მოხდა, რაც რეგიონში აშშ-ის ავიამზიდი ხომალდი დაბრუნდა.**

როგორც მედია წერს, ეს ბოლო 12 დღეში უკვე მეექვსე რაკეტაა.

ფხენიანის მიერ რაკეტების ინტენსიური გამოცდის ფონზე, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა და აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი წვრთნები გაიმართა, თუმცა ფხენიანმა გამოცდა კვლავ განახორციელა და კუნძულის სიახლოვეს ამერიკული სამხედრო ხომალდის გადაადგილება დაგმო.

# ირანელ ქალებს სოლიდარობა გამოუცხადა

შვედმა ევროპარლამენტარმა, ევროპარლამენტში, ირანელი ქალების სოლიდარობის ნიშნად, თმა მოიჭრა.



**„ვიდრე ირანელი ქალები არ იქნებიან თავისუფალნი, ჩვენ თქვენ გვერდით ვიქნებით“,** — განაცხადა ცენტრისტული პარტიის წევრმა, აბირ ალ საჰლანიმ სტრასბურგში გამართულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას.

ირანში დემონსტრაციები 16 სექტემბერს, 22 წლის მაჰსა ამინის გარდაცვალებას მოჰყვა, რომელიც ჰიჯაბის არასწორად ტარებისთვის "მორალის პოლიციამ" დააკავა და სცემა. ამინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

# საბავშვო ბაღში ყოფილმა პოლიციელმა სროლა ატეხა

**ტაილანდის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში სროლის შედეგად სულ მცირე 28 ადამიანი დაიღუპა. წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი პოლიციის ყოფილმა ოფიცერმა გახსნა.**

შემთხვევა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში მოხდა. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაღუპულთა და დაშავებულთა შორის მცირეწლოვნების გარდა, ზრდასრულებიც არიან.

როგორც მედია იუწყება, პოლიცია თავდამსხმელს ეძებს. თავდასხმის მოტივი უცნობია.



# რაფიელ გელანტია

აფხაზეთის საზოგადოებას გამოაკლდა საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარ კარ-მოდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულდაფერფლილი ჭეშმარიტი მამულიშვილი, უაღრესად განათლებული და ერუდირებული, პასუხისმგებლობით და საზოგადოებრივი აქტიურობით გამორჩეული, მაღალი დონის პროფესიონალი სახელმწიფო მოხელე, ღირსეული პიროვნება რაფიელ გელანტია.

გალის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, გალის რაიონის მმართველი რგოლის, აფხაზეთის მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკის რანგში მან გაიარა ქვეყნისათვის ურთულესი პოლიტიკური ქარტეხილებით დამძიმებული პერიოდი და ყველგან დატოვა თავისი კვალი როგორც გაწონასწორებულმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ჭეშმარიტმა პატრიოტმა, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე მოფიქრალმა და მზრუნველმა. მრავალმხრივად განვითარებული, ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოვებული რაფიელ გელანტია, გაზეთ „გალის“ ყოფილი რედაქტორი, არაერთგზის იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისა და სახალხო დიპლომატიის დაგეგმვაში შეტანილი პირადი წვლილისა და პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, ქვეყნის ღირსეული სამსახურისათვის გადაეცა პარლამენტარიზმის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი მედალი. მიღებული აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. ის გახლდათ მრავალი პუბლიკაციის და ნოველის ავტორი, რომლებშიც ასახულია აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული რეალობა. ლამაზი ოჯახის უფროსი სათუთად უფრთხილდებოდა, იცავდა და ქომაგობდა ჩვენი კუთხისათვის დამახასიათებელ მაღალი ზნეობის ტრადიციებს, ადათ-წესებს თავის საყვარელ მეუღლესთან და წარმატებულ შვილებთან ერთად, იყო სხვისი გაჭირვების გამზიარებელი და გვერდში მდგომი, საიმედო მეგობარი.

ძალიან ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიმდინარე პროცესების მოგვარებით დაკავებულთა რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, იდეების გენერატორი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ჩატეხილი ხიდის მშვიდობიანი გზებით გამთლიანების აქტიური მომხრე.

გელანტიების საგვარეულომ დაკარგა გვარის ღირსეული წარმომადგენელი, საზოგადოებამ — ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლი თავდადებული რაინდი, კოლეგებმა და ახლობლებმა - ჭეშმარიტი, საიმედო და უღალატო მეგობარი.

ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ მის მეუღლეს, ქალბატონ რიტა ცინდელიანს, მის შვილებს და შვილიშვილებს, ახლო ნათესავებს.

რაფიელ გელანტია დარჩება ჩვენს ხსოვნაში როგორც უაღრესად განათლებული, პატიოსნებით და თავმდაბლობით გამორჩეული, მაღალი რანგის პროფესიონალი სახელმწიფო მოხელე, საიმედო და გამორჩეული მეგობარი. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრების სახელით:

**ბაკურ გულუა, ზურაბ ერქვანია, ვახტანგ ყოლბაია, ლონდერ ცაავა, ლავრენტი ბიბლაია, როსტომ გამისონია, რევაზ გერგედავა, მერაბ დგებუაძე, დემურ კეკელია, გურამ მაღლაკელიძე, ბორის ნაყოფია, ვალტერ ქობალია, ნატო კორსანტია, ლუიზა ეხვაია, ჯემალ შონია, კაკო შონია, ოთარ ჩარკვიანი, თენგიზ ჩაჩიბაია, ოთარ ჩეხერია, თამაზ ცინარიძე.**



# ზურაბ თორია

საქართველოს მწერალთა კავშირმა, თანამედროვე ქართულმა მწერლობამ ღრმა სინანულით აღიქვა ცნობა თვალსაჩინო ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ ალექსანდრეს ძე თორიას გარდაცვალების შესახებ.

ზურაბ თორია, ჩინებული შემოქმედი და მოღვაწე ერთი უმშვენიერესი ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, შენს ერს, ემსახურო ჩუმად, ყოველგვარი ამბიციისა და ქედმაღლობისაგან დაცლილი და, ამავე დროს, აკეთო დიდი ეროვნული საქმეები...

ზურაბ თორია დაიბადა 1946 წლის 20 ნოემბერს ქალაქ გალში. 1964 წელს გალის მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის სახელმწიფო სუბტროპიკულ ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1969 წელს.

უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ ზურაბ თორია სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორის მოადგილედ, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „ამერ-იმერის“ რედაქტორთა საბჭოს წევრად და დიდი შემართებით ემსახურებოდა ქართული მწერლობისა და ხელოვნების წინსვლას. როგორ შეიძლება, ცალკე არ აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც ზურაბ თორიამ დასდო საქართველოს საპატრიარქოს ორგანოს — „ჯვარი ვაზისას“, როგორც მისმა პასუხისმგებელმა მდივანმა. ამ ჟურნალშიც ეს ღირსეული მოღვაწე დიდ ეროვნულ საქმეს იყო შეჭიდებული და მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა დედაეკლესიას, ქრისტიანობის წმიდათაწმიდა იდეალების დამკვიდრებას თანამოძმეთა სულებში.

ზურაბ თორია სამწერლო ასპარეზზე 1978 წელს გამოჩნდა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები. მას შემდეგ მწერლის რომანები, მოთხრობები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ზურაბ თორიას პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ადგილი ცის ქვეშ“, „კედელი“, „ამ სოფლის მგზავრი“, „მახარებელი“, „ვიდრე უხმობდე სხვას“, „არა შურისგებისათვის ჩემდა“, „წარსულის მძევლები“ თამამად უსწორებს მხარს თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს. ამ კრებულებში შესული ნაწარმოებებიდან მკითხველს ესაუბრება მშობელი ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფალი, მის ჭირთა და ლხინთა გამზიარებელი, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძეგანებული,რომ საღვთო კრავივით შეწირული ქვეყნის შვილია და ამიტომაც გულის გულზე ატყვია ყველა ის იარა, რაც კი მისი ქვეყნისთვის დაუჭდევია ყველა ბარბაროს მომხდურს. მისი ლიტერატურული ტექსტების გმირები მედგრად იბრძვიან ქართული სიწმინდეების გადასარჩენად, ქართული სულის გადასარჩენად... მათ არასდროს ტოვებთ სიკეთისა და მადლის განცდა, მუდამ სიყვრულის და სათნოების სადარაჯოზე დგანან...

ზურაბ თორიას პუბლიცისტური სტატიები აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე კიდევ ერთხელ ცხოვლად წარმოაჩენს მის პიროვნებას, როგორც ობიექტურ და მკაცრ მემატიანეს ქართველთათვის დამტყდარი უბედურებისა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა XX-XXI საუკუნეების ბარბაროსების სიშლეგე და ვერაგობა, მაგრამ მაინც საოცრად მიმტევებელი და შემწყნარებელია ძე შეცთომილთა მიმართ.

ზურაბ თორიას კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი თარგმანები ქართველ სულიერ მოძღვართა ნააზრევიდან, როგორიცაა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაიას) ნაშრომი „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“, აგრეთვე მ. გრუშელევას წიგნი „თანამედროვე იაპონური თეატრი“, ს. მარის წერილები ნიკო მარზე...

ზურაბ თორია დაჯილდოებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფრიდონ ხალვაშის სახელობის სახელმწიფო პრემიით.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ზურაბ თორია - ჩინებული მწერალი, მოღვაწე, პიროვნება, საქართველოს ღირსეული შვილი.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



# წმიდა პირველმოწამე და მოციქულთა სწორი თეკლე

**7 ოქტომბერს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა პირველმოწამე და მოციქულთა სწორ თეკლეს. ცნობილია, რომ თეკლე იყო წარმართთა წარჩინებული და სახელოვანი საგვარეულოდან...**

ის სხვებთან ერთად ხედავდა მოციქულთა მიერ აღსრულებულ სასწაულებს და თავისი საცხოვრებლის სარკმელთან მჯდომარე ისმენდა მათ საუბრებს იქვე მახლობლად მდებარე ონისიფორეს სახლიდან, გულმოდგინედ იმახსოვრებდა ყოველივეს, რასაც ისინი ქადაგებდნენ. ასე რომ, კეთილ ნიადაგში მოხვდა ღვთის სიტყვის თესლი, სულიწმინდის მოქმედებით ღრმად გაიდგა ფესვი თეკლეს გულში და ჯეროვანი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ...წმიდა ქალწულმოწამე თეკლეს მოკვდინება მრავალმა სცადა, მაგრამ ის ყოველთვის ღმრთის ძალით უვნებელი რჩებოდა.

**წმიდა პირველმოწამე ქალწული თეკლე უკვე ასაკოვანი კვლავ გახდა ბოროტ ადამიანთა „მსხვერპლი“: გარყვნილი ჭაბუკები გაემართნენ მის სამყოფელისაკენ პატივის ასახდელად, თეკლე შეევედრა ღმერთს — „მიხსენი ამ უსჯულოთა ხელთაგან“... და უმალვე იმ ადგილას აღმართული ვეება კლდე ღმერთის ბრძანებით შუაზე გაიპო და თავის წიაღში მიიღო წმინდანი. ასე დაიცვა უფალმა მისი ქალწულებრივი უბიწობა. ეს კლდე გახდა თეკლეს პატიოსანი სხეულის საფლავი.**

გიული ლიპარტია

# სოსო თოფურიძე: „ნაცებს“ ნიკა მელიას შენახვა 1 471 000 ლარი უჯდება

**კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო თოფურიძე „ნაციონალურ მოძრაობას“ ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს და პარტიაში გამდიდრებულ პოლიტიკოსებზე სოციალურ ქსელში წერს.**

„ეს წუთია მომაწოდეს ინფორმაცია, რამაც ძალიან გამაღიზიანა!! რა უჯდება „ნაციონალურ მოძრაობას“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას შენახვა: წელიწადში 1 471 000!!! ოპოზიცია, თქვენ ნამუსი გაგაჩნიათ?! ჩვენ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის, შეუპოვარი დათა ახალაიას მეთაურობით, მთელი დეპარტამენტი 24 საათი ვებრძოდით კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულს, კბილებამდე შეიარაღებულ კრიმინალებს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ყოველდღე ადამიანების უსაფრთხოებას ვიცავდით, ქვეყნის კონსტიტუციურ უსაფრთხოებას ვიცავდით!!! ჩვენ შევძელით შეუძლებელი, მაფია დავამარცხეთ!!! არჩევნებში დამარცხების შემდეგ, 2012 წელს სამშობლო დავტოვეთ! 10 წელი იძულებით პოლიტდევნილობაში ვართ! 10 წელი, ჩემი გმირი მეგობრები საპყრობილეში იხდიან არ ჩადენილ სასჯელს საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის აღმშენებელი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია. ოპოზიციის ტელევიზიის ხელმძღვანელი ნიკა გვარამია საპყრობილეში, პოლიტპატიმარია და თქვენ, ზოგ-ზოგიერთებმა ფუფუნება მოუწყვეთ თქვენს თავებს?! ხალხი შიმშილობს და თქვენ მდიდრდებით?!!! ხალხნო, ეს რა ხდება?!ხელისუფლებაზე რაღა უნდა ვთქვა, ოპოზიციამ, ხალხის ხარჯზე მოიწყო ცხოვრება!!!“



# ეკა გაბუნიას პერსონალური გამოფენა

საქართველოს კულტურის ფონდი მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ აწყობს მოყვარული მხატვრის ეკა გაბუნიას ნამუშევართა პერსონალურ გამოფენას.

„მუზის“ საგამოფენო დარბაზი ღონისძიების გახსნაზე გეპატიჟებათ დღის 15 საათზე.




# ახალი ნობელიანტები

ნობელის პრემია **ქიმიის დარგში** ამერიკელებს **კეროლინ ბერტოზის,** და **მარი შარპლესს** და **დანიელ მორტენ მელდალუს** გადაეცათ. ინფორმაცია ამის შესახებ ნობელის კომიტეტის sobnnth-ზე გამოქვეყნდა. ჯილდო მეცნიერებს „კლიკ-ქიმიის მეთოდების შემუშავებისა და ბიოორთოგონალური ქიმიისთვის“ გადაეცათ. საუბარია ორგანული სინთეზების ინოვაციურ მეთოდებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ამარტივებენ და უფრო ეფექტიანს ხდიან ახალი შენაერთების შექმნას.

**ფიზიკის დარგში კი ჯილდო გადაეცა ალენ ასპეს (საფრანგეთ), ჯონ კლაუზერს (აშშ) და ანტონ ცაილინგერს (ავსტრია) ფორმულირებით „ექსპერიმენტებისთვის ფოტონებთან, ბელის უთანასწორობის დარღვევის აღმოჩენასა და კვანტურ ინფორმატიკაში ნოვატორობისთვის“.**



BBC-ს ცნობით, მათმა სამუშაომ შესაძლოა მძლავრი კომპიუტერების, ახალი თაობის კომპიუტერებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემების შექმნას შეუწყოს ხელი, რომელთა გატეხვაც შეუძლებელი იქნება. 5 ოქტომბერს ქიმიის, 6 ოქტომბერს ლიტერატურის, 7 ოქტომბერს კი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები დასახელდებიან. 10 ოქტომბერს გახდება ცნობილი ვინ მიიღებს ალფრედ ნობელის სახელობის პრემიას ეკონომიკის დარგში.

**ჯილდოები გამარჯვებულებს 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გადაეცემათ.**



# „მსუქანი დათვების კვირა“ დაიწყო

**ალასკაზე, კატმაის ეროვნულმა პარკმა ტრადიციული „მსუქანი დათვების კვირა“ დაიწყო. კონკურსის მიზანი წლის ყველაზე მსუქანი დათვის ტიტულის მფლობელის გამოვლენაა. გამარჯვებულს პარკის ბინადრებიდან პარკის ვებგვერდზე ირჩევენ. მონაწილეებს შორის შარშანდელი გამარჯვებული ოტისია – ის კონკურსის რეკორდსმენია, რომელმაც ტიტული უკვე ოთხჯერ მოიპოვა.**

ოტისის მთავარი კონკურენტი დათვი 747-ია, 2020 წლის გამარჯვებული. ის დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე დიდი დათვია, რომლის წონაც 635 კილოგრამია. ხმის მიცემა 11 ოქტომბრამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდება.

# ჩარლზ III-ს ოფიციალურად აკურთხებენ ბრიტანეთის მეფედ



**ჩარლზ III-ის დიდი ბრიტანეთის მეფედ კურთხევის ცერემონია 3 ივნისს, ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართება. ამის შესახებ გამოცემა Bloomberg-ი ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით წერს.**

როგორც ოფიციალურმა პირებმა გამოცემას ანონიმურობის დაცვის პირობით განუცხადეს, ცერემონია ჩარლზის მეფობის დასაწყისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ცენტრალური ელემენტი იქნება. ელისაბედ მეორე 8 სექტემბერს, 96 წლისა გარდაიცვალა. დიდი ბრიტანეთის მეფე ელისაბედის ვაჟი, ჩარლზ მესამე გახდა.



# აღმოაჩინეს მე-7 საუკუნის ოქროს მონეტები

**არქეოლოგებმა ისრაელში განძი აღმოაჩინეს: სუფთა ოქროსგან ჩამოსხმული 44 ბიზანტიური მონეტა, რომლებიც მე-7 საუკუნით თარიღდება. განძი ქალაქ ბანიასში გათხრების დროს, კედელში იპოვეს. მისი წონა 170 გრამია.**

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მონეტების მფლობელმა ისინი კედელში 635 წელს, მუსლიმური დაპყრობის დროს დამალა. არქეოლოგების თქმით, აღმოჩენა დამატებით ინფორმაციას მიაწვდით რეგიონში ბიზანტიის ძალაუფლების ბოლო წლებზე.

# როგორ ზოგავენ ელექტროენერგიას ფრანგები?!

**ენერგიის დაზოგვის მიზნით, საფრანგეთი საჯარო დაწესებულებებში ცხელ წყალს გამორთავს. „როიტერი“ საფრანგეთის ენერგეტიკის სამინისტროზე დაყრდნობით წერს, რომ ენერგიის მოხმარების შემცირების უფრო ფართო გეგმის ფარგლებში, ხელისუფლება მუნიციპალიტეტებს მოუწოდებს, საჯარო საცურაო აუზებზე წყლის ტემპერატურა ერთი გრადუსით შეამცირონ.**

ემანუელ მაკრონის მთავრობას გუშინ გამოაცხადა სექტორსექტორული ენერგიის დაზოგვის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის შეწყვეტის ან გაზის დეფიციტის თავიდან აცილებას. მრეწველობას, შინამეურნეობებს და მუნიციპალურ ხელისუფლებას დაევალება ენერგომოხმარების შემცირება 10 პროცენტით, რუსეთის მიერ გაზის მიწოდების შემცირებისა ცხელი წყლის წარმოება მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობებში შეადგენს საფრანგეთის სახელმწიფოს ენერგეტიკული გადასახადის 10 პროცენტს, სადაც დასაქმებულია ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი.

გარდა ამისა, საფრანგეთის მთავრობა საჯარო სექტორის მუშაკებს სთხოვს, ოთხ საათზე ნაკლები დროის შემთხვევაში, იმოგზაურონ მატარებლით და არა თვითმფრინავით.

ამასთან, საფრანგეთის მთავრობას ვალდებულება აქვს აღებული, 2050 წლისთვის ელექტროენერგიის მოხმარება 40 პროცენტით შეამციროს, რათა შეასრულოს საერთაშორისო შეთანხმებებში გაცემული დაპირებები კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის კუთხით.

# თაღლითობა თუ ბედის წყალობა?

**ფილიპინებზე, ლატარიის Grand lotto ჯეკპოტი 433-მა ადამიანმა მოიგო, რის გამოც შესაძლოა გამოძიება დაიწყოს. გათამაშების მთავარი პრიზი 236 მილიონ პესოს (4 მილიონ დოლარს) შეადგენდა. თუმცა გამარჯვებულთა რაოდენობასთან ერთად ექვები მომგებიანმა ციფრებმაც გამოიწვია — ექვსივე 9-ის ჯერადია: 9;18;27; 36;45;54.**




თუმცა ლატარიის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ თაღლითობა შეუძლებელია. ისინი აღნიშნავენ, რომ ყოველდღიურად მსოფლიოში ასობით ლატარია ტარდება და სტატისტიკურად სულაც არ არის გასაკვირი, რომ რამდენიმე ათწლეულში ერთხელ ერთ კონკრეტულ გათამაშებაში ასეთი უჩვეულო რიცხვები დადასტურდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8055; ევრო - 2.7825
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1887;
100 რუბლი - 4.7178; თურქული ლირა - 0.1510;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6546;
1000 სომხური დრამი - 6.9127.

**ამინდი 7 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +20 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7 | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge